ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა შემუშავდეს საგანგებო ღონისძიებანი, რომლებიც იხსნის მოსახლეობას ყაჩაღობისაგან, ძარცვისაგან, განამტკიცებს საქართველოს ტრასებზე მკაცრ წესრიგს, რომელიც მხოლოდ პოლიციის საქმე უნდა გახდეს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 266 (794)
შაბათი, 18 დეკემბერი, 1993 წელი
ფასი 300 კუპონი

პირველი სვეტი

დემოკრატიის გადასარჩენად

რუსეთში გამართული არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში, რომელიც საქართველოს ედპ მთავარმა კომიტეტმა გააკეთა, გამოთქმულია შეშფოთება ფაშისტურ-კომუნისტური ძალების გამარჯვების გამო, რაც საფრთხეს უქადის როგორც რუსეთის უაღრესად სუსტ დემოკრატიულ ძალებს, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს და, საბოლოო ჯამში, მთელ მსოფლიოს. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს, გააძლიერონ პოლიტიკური მხარდაჭერა ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების მიმართ, რათა რუსეთის ირგვლივ შეიქმნას და განმტკიცდეს დემოკრატიულ ქვეყანათა ერთგვარი სარტყელი, რაც რუსეთშიც შეუწყობს ხელს დემოკრატიის გამარჯვებას; აგრეთვე, თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, საღად შეაფასონ რუსეთში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები, და ყველაფერი გააკეთონ ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

●

ამოცანა უცვლელია

ზუსტად ერთი წლის წინათ სოხუმში გაცხარებული საომარი მოქმედების დროს შეიქმნა აფხაზეთის ხსნის კომიტეტი.

ამჟამად კომიტეტი დროებით ფუნქციონირებს თბილისში. ამ დღეებში აქ გაიმართა მისი მორიგი სხდომა, რომელზეც ხელახლა დაამტკიცეს პრეზიდიუმის შემადგენლობა, გადაწყვიტეს ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი, მიიღეს ახალი პროგრამა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ლორიკ მარშანიამ თქვა, რომ მათი მიზნები და ამოცანები იყო და არის: წინ აღუდგნენ არძინბასა და მისი თანამზრახველების სეპარატისტულ ავანტიურულ პოლიტიკას, აგრეთვე საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის რადიკალიზმს, ეძებონ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიანი გზები.

●

„პატივს ვცემთ...“

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც კმაყოფილება გამოთქვა რუსეთში ახალი, დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისა და 1917 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გამო.

ჩვენ პატივს ვცემთ, აღნიშნულია განცხადებაში, მეზობელი და მეგობარი რუსეთის ამომრჩევლების თავისუფალ მრავალპარტიულ არჩევნებში გამოვლენილ ნებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ რუსეთი არ გადაუხვევს დემოკრატიის გზას, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ევრაზიის სახლად ჩამოყალიბებას.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

მთავარი კრიტერიუმებია პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა

15 დეკემბერს გამართული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით, დაიწყო საკადრო საკითხების განხილვით. მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტის, მრეწველობის სამინისტროს მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკების დამტკიცებასთან ერთად, დაეთანხმნენ იმ კანდიდატურებსაც, რომლებიც კაბინეტის საქმეთა მმართველმა წარმოადგინა თავისი მოადგილეების, აგრეთვე განყოფილებათა გამგეების, დარგების მიხედვით მთავარი მრჩევლების თანამდებობებზე და მთავრობის აპარატში სხვა ხელმძღვანელ პოსტებზე, რაც განსაზღვრა მასში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა. როგორც ამ კანდიდატურების განხილვის დროს აღინიშნა, რომელიც ფრიად პრინციპულად და მომთხოვნელობით მიმდინარეობდა, მათი შერჩევის მთავარი კრიტერიუმები იყო პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, რაც უნდა დადასტურდეს ყოველდღიურ მუშაობაში.

ამ კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ მინისტრთა კაბინეტის წევრები, როცა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი ბიზნესმენი თეიმურაზ დოლიძე, რომელმაც კარგად გამოიჩინა თავი, დაამტკიცეს ბენილუქსის ქვეყნებში (ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი) საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად. ევროპის ცენტრში ამ წარმომადგენლობის მუშაობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი წამყვან საზღვარგარეთელ პარტნიორებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას, ჩვენს რესპუბლიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას, მის გასვლას ევროპის ბაზარზე.

აქტუალური და კანონზომიერია მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების ინდექსაციის შესახებ. იგი განხორციელდება 1993 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმების მიუხედავად. გამონაკლისს შეადგენენ მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც შეიქმნა უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, სადაც ინდექსაციის მიზანშეწონილობას განსაზღვრავენ მათი გამგეობანი. ამასთან გათვალისწინებულია, რომ ის ძირითადი სახსრები (კაპიტალდაბანდებები), რომლებიც შეძენილია 1992 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, საბაზრო, სახელშეკრულებო ფასებით, არ ექვემდებარება ინდექსაციას ან ექვემდებარება მას ნაწილობრივ, თუ ეს ფასები ანალოგიური ობიექტების ინდექსირებულ ღონისძიებაზე ნაკლებია, დადგინდა, რომ წარმოებისა და კაპიტალდაბანდებების ძირითადი ფონდების ინდექსაცია, მათი სახეობებისა და დანიშნულების მიუხედავად, იწარმოებს ერთიანი კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და მათი ცვეთის დონეს.

ამასთან ერთად, მიღებული იყო დადგენილება ძირითადი ფონდების დროებითი კონსერვაციის რეჟიმის შესახებ. საქმე ის არის, რომ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ნედლეულით, მასალებით, მაკომპლექტებელი ნაკეთობებითა და დეტალებით, საწვავითა და სხვა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფაში სერიოზულ შეფერხებებთან დაკავშირებით მთელი რიგი საწარმოები და ორგანიზაციები არასრული დატვირთვით მუშაობენ, ხოლო მრავალი წარმოება, საამქრო და უბანი საერთოდ გაჩერებულია. არადა, მათს ძირითად ფონდებს კვლავ ერიცხება საამორტიზაციო ფონდები, რაც არსებით ზარალს აყენებს და კიდევ უფრო ართულებს საწარმოთა ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას. ამიტომ, მათი შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხთა გადაჭრამდე უმოქმედო საწარმოების, საამქროებისა და უბნების ძირითადი ფონდები გადაწყვეტილია გადაყვანილ იქნეს დროებითი კონსერვაციის რეჟიმზე, ამასთან შეჩერდეს დანარიცხები მათი ამორტიზაციისათვის.

პრივატიზაციის პროცესში რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილება საპრივატიზაციო ჩეკების სისტემის განვითარების შესახებ. როგორც ამ დოკუმენტშია ნათქვამი, სახელმწიფო საწარმოთა ცვლილებების შედეგად შექმნილი ყველა სააქციო საზოგადოების აქციების სულ ცოტა 35 პროცენტი გადაწყვეტილია გაიყიდოს საპრივატიზაციო ჩეკებით როგორც სპეციალურ, ისე ჩვეულებრივ აუქციონებზე, კონკურსების მეშვეობით, სადაც ერთადერთი საგადამხდელო საშუალება იქნება ეგრეთ წოდებული ვაუჩერი.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თაობათა შორის სოლიდარობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. სპეციალური დადგენილება მიიღეს ყრუ და სმენადაქვეითებული მომუშავე პენსიონერების სოციალური დაცვის შესახებ. კერძოდ, ამა წლის 1 დეკემბრიდან, როგორც დროებითი ღონისძიება, მათზე გავრცელდება არამომუშავე პენსიონერთათვის გათვალისწინებული დანამატები.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი ადმინისტრაციული შენობის აღდგენასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დამთავრების დამატებითი ღონისძიებების საკითხის განხილვის დროს საუბარი ჩამოვარდა იმაზე, რომ უნდა დაჩქარდეს თბილისში დეკემბერ-იანვრის ცნობილი ამბების შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებლის მშენებლობა. შესაბამის სამსახურებს მიეცათ დავალება გაერკვნენ ამ საქმეში და გაითვალისწინონ საჭირო ასიგნებანი 1994 წლის ბიუჯეტში.

სხდომაზე შეიტანეს ცვლილებანი მინისტრთა კაბინეტის გასული წლის 7 მარტის დადგენილებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“. ისინი ეხება განაკვეთებს სასამართლოში განცხადებებისა და საჩივრების შეტანისა და მათთვის დოკუმენტების პირების გაცემისათვის, სხვადასხვა სანოტარო ოპერაციის შესრულებისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გატარებისათვის, რესპუბლიკაში შესვლის და მის ფარგლებს გარეთ გასვლის დოკუმენტების გაფორმებისათვის. დაწესებულია საზღვარგარეთიდან მოქალაქეთა მიერ ფულგზავნილების სახელმწიფო ბაჟის ახალი განაკვეთები ფასიან ქაღალდებთან, აგრეთვე სავაჭრო, სანედლეულო და სხვა ბირჟებზე განხორციელებული ოპერაციებისათვის, აუქციონის მოწყობისათვის და ა. შ. ცვლილებანი შეტანილია სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გადასახადით დაბეგვრის შესახებ დროებით დებულებაშიც და მინისტრთა კაბინეტის მიმდინარე წლის 27 აპრილის დადგენილებაშიც საზღვარგარეთ რესპუბლიკის ტერიტორიიდან სატრანსპორტო საშუალების გატანისათვის ერთჯერადი გადახდის შესახებ. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით ქუთაისისა და რუსთავის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიღებულია ამ ქალაქების მერიების სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან შეთანხმებული წინადადებანი მათი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში მთელი რიგი ადგილობრივი ავტოსატრანსპორტო საწარმოების გადაცემის შესახებ.

მინისტრთა კაბინეტმა განიხილა რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხებიც.

რუსეთში არჩევნების გაკვეთილი

პრეზიდენტი ბილ კლინტონი რუსეთში რეფერენდუმისა და პარლამენტის არჩევნების შედეგების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 13 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რუსეთში შეიქმნება უმრავლესობის კოალიცია, რომელიც დემოკრატიასა და მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას დაუჭერს მხარს. მიუთითა რა რუსეთის ეკონომიკურ სიძნელეებზე, ცენტრალური ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალ პერიოდში, პრეზიდენტმა თქვა, რომ მას არ აკვირვებს ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც არჩევნებზე მიიღო ულტრანაციონალისტმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, ეგრეთწოდებული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა. „რუსეთის ხალხი ძალზე იტანჯებოდა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, — თქვა კლინტონმა. — ძალზე მძიმეა ასეთი ცვლილებები, ისე გაიარო, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს ხმა არ მიეცა იმ კანდიდატისათვის, რომელიც ყველაზე უფრო გააფთრებით გამოხატავს პროტესტს. ამიტომ, განსაკუთრებით გაკვირვებული არ ვიყავი“. პრეზიდენტმა რუსეთში არჩევნების შედეგები პოლონეთში არჩევნების შედეგებს შეადარა: „ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც უბრალო ადამიანებისათვის მძიმე მდგომარეობა იქმნება, უნდა მოველოდეთ დიდძალ საპროტესტო ხმებს, რომ ეს მართალია შეერთებული შტატებისთვისაც“. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ცნობები ჟირინოვსკის პოზიციის შესახებ, რომელიც პრეტენზიებს აცხადებს თვით ამერიკის შეერთებული შტატების შტატ ალასკაზე, კლინტონის აზრით, მაინც არის შესაძლებლობა რუსეთთან წარმატებული თანამშრომლობისათვის. „ვფიქრობ, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიას და არა საგარეო პოლიტიკის კურსის მკვეთრად შეცვლას, არსებობს შესაძლებლობა პარლამენტში კოალიცია შექმნან, რომელსაც შეეძლება იმუშაოს პრეზიდენტთან ერთად, წინ წასწიოს საქმე. მე ამის დიდი იმედი მაქვს“. პრეზიდენტმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ იგი არ მოელის „თავისი პოლიტიკის შეცვლას“ მოსკოვის მიმართ. მან თქვა, რომ ვაშინგტონი თვალს უნდა ადევნებდეს მოვლენათა განვითარებას რუსეთში, რათა გაიგოს, თუ არჩევნების შედეგები როგორ ტრანსფორმაციას ახდენს ადგილების განლაგებაზე ფედერალურ კრებაში, „თუ როგორ იქნება განაწილებული ადგილები და ეს ყველაფერი რითი დამთავრდება. საჭირო იქნება დრო, ვიდრე რეალური წარმოდგენა შეგვექმნება მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ“. ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ, პოლონეთსა და რუსეთში, კენჭისყრის შედეგებიდან, აღნიშნა პრეზიდენტმა, ის არის, რომ აუცილებელია უკეთესად გვესმოდეს ის სიძნელეები, რომლებიც რეფორმებს ახლავს. „მე ვთვლი, აღნიშნა პრეზიდენტმა, — რომ არჩევნებმა პოლონეთსა და რუსეთში ნათლად აჩვენეს, თუ რა ძნელია ძველი კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მთელ მსოფლიოში ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში“, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა არსებითად შეამცირა სხვა ქვეყნების შესაძლებლობა და სურვილი, „მოახდინონ დიდი კაპიტალდაბანდებანი, რათა თუნდაც დროებით შეუმსუბუქონ ცხოვრება ადამიანებს, რომლებიც იტანჯებიან გარდამავალი ხანის პროცესში. ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში, — თქვა მან, — დასავლეთ გერმანიის კოლოსალური ფულადი თანხების მიუხედავად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს რეფორმებისადმი მტრული დამოკიდებულება. გარდამავალი პროცესი, — თქვა მან, — უკიდურესად მტკივნეულია“. პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ გაკვეთილმა, რომელიც არჩევნების შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა მიიღეს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს იმის გაგებამდე მიიყვანს, რომ საჭიროა უფრო გულისხმიერები ვიყოთ უბრალო ადამიანების გაჭირვების მიმართ.

კლინტონმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის გამოვა თუ არა იგი რუსეთის ფედერალური კრების წინაშე მოსკოვში ვიზიტის დროს იანვარში. მან თქვა: „მე ნიადაგ მიმაჩნდა, რომ საშუალება მექნებოდა პარლამენტთან ურთიერთობის, ისევე, როგორც რუსეთის პრეზიდენტთან. ვისთან, როგორ, და რის შესახებ იქნება მოლაპარაკება, ამაზე ჯერ არ გვიმსჯელია. მათ ამის დრო არ ჰქონდათ. არჩევნები მხოლოდ ახლახან გაიმართა“. პრეზიდენტმა თქვა, რომ მას არა აქვს არავითარი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ რუსი ადამიანები იზიარებენ ნაციონალისტ-რადიკალ ჟირინოვსკის ექსტრემისტულ საგარეო პოლიტიკურ შეხედულებებს. კლინტონმა თქვა, რომ მას არა აქვს არავითარი გეგმები შეცვალოს რუსეთში რეფორმების მხარდაჭერის ამერიკული პოლიტიკა, რომ ამჟამად „არ უნდა მოხდეს მეტისმეტად მწვავე რეაგირება სიტუაციაზე“. ხმების დათვლა საბოლოოდ ჯერ არ დამთავრებულა და ჯერ კიდევ არ არის ნათელი თუ როგორი იქნება რუსეთის ფედერალური კრება. პრეზიდენტმა თქვა: „ჯერ კიდევ არ ვიცით, რა მიმართულებით ივლის ახალი პარლამენტი. ეს საკითხი ძალზე მაღელვებს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკა სრულიად ახალი და საშიში მიმართულებით წავა? ამას არ ვფიქრობ. ვინაიდან არაფერი ვიცით რუსეთის პოლიტიკის რაიმე ცვლილების შესახებ და ამიტომ არც არის აუცილებლობა ელცინისა და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ამერიკელთა მხარდაჭერის შესაცვლელად. მეორე მხრივ, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი რუსეთში მოვლენათა განვითარებას, რუსეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები გვაიძულებს გავაორკეცოთ ძალისხმევა რუსეთის რეფორმების მხარდასაჭერად და ყველაფერი ვიღონოთ, რათა უბრალო ადამიანებმა გაიგონ, რომ ეს მათ სარგებლობას მოუტანს“.

საქართველოში აშშ საელჩოს მასალების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მატერიალური რესურსების ყოფილი მინისტრი

ლევან სერგოს ძე თოფურია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა ყოფილი მატერიალური რესურსების მინისტრის ლევან სერგოს ძე თოფურიას დამკრძალავი კომისია ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის მ. ზანკალიანის თავმჯდომარეობით.

ლ. ს. თოფურიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

უცხოური ინვესტიციები შემოდის საქართველოში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 17 დეკემბერს მიიღო ამერიკული ფირმა „მაკოილის“ პრეზიდენტი ბატონი ჯონი კოზლოვსკი.

ამ ფირმისა და საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ „საქნავთობის“ მიერ შეიქმნა ერთობლივი საწარმო. მათი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამ საბადოზე (ნინოწმინდა, დასავლეთ რუსთავი და მანავი) დაინერგოს ჰორიზონტალური ბურღვის მეთოდი ამ საბადოებიდან ნავთობის მოპოვების გაზრდისათვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ფირმა „მაკოილი“ სამუშაოებს თავისი სახსრებით განახორციელებს. თუ დადებითი შედეგები იქნება მიღწეული, საქართველოს მხარე ამ ხარჯების ნაწილს მოგებიდან დაფარავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა დანახარჯს კომპანია აიღებს თავის თავზე.

ითქვა, რომ დასავლეთ საქართველოს ცნობილი მოვლენების გამო ფირმას არ მიეცა საშუალება სამუშაოები პრაქტიკულად განეხორციელებინა. ახლა ისინი სამუშაოთა დაწყებას მომავალი წლის თებერვლიდან იმედოვნებენ.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ვიცეპრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, დეპარტამენტ „საქნავთობის“ ხელმძღვანელი მუშაკები.

• • •

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 17 დეკემბერს მიიღო ფირმა „ავსტრალიის რესურსების კონსორციუმის“ პრეზიდენტი ბატონი ნორმანდ სეკოლდი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ერთობლივი საწარმო, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში ავსტრალიური კომპანიისა და საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ „საქნავთობის“ მიერ შეიქმნა, მუშაობის წარმართვას ორი მიმართულებით აპირებს: რესპუბლიკაში ფართო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გაშლას ნავთობის ახალი საბადოების აღმოსაჩენად და, მეორე, უკვე არსებულ საბადოებზე, კერძოდ, სამგორის საბადოს ტერიტორიაზე მცირე გაბარიტიანი ნავთობგადამამუშავებელი დანადგარის მშენებლობასა და გამომუშავებული ნორიოსა და საცხენისის საბადოების ინტენსიფიკაციას ნავთობის მოპოვების მოცულობის გაზრდის მიზნით. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს წარმოება ეკოლოგიურად სუფთა იქნება.

ითქვა, რომ იგივე ფირმის ფერადი მეტალურგიის განყოფილების და საქართველოს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიერ შეიქმნება ერთობლივი საწარმო, რომელიც აპირებს კვარციტების გადამუშავების ტექნოლოგიის დანერგვას მისგან ოქროს გამოსავლის გაზრდის მიზნით, რაც რესპუბლიკას დიდი რაოდენობით ოქროს მოპოვების საშუალებას მისცემს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ვიცეპრემიერი ზურაბ კერვალიშვილი და სხვა ოფიციალური პირნი.

ნამდვილი ფული?! — ჩვენ ეს შეგვიძლია!

ფულის სარფიანი დაბანდება ახალი წლის წინ!

ყველაზე ხელსაყრელი პროცენტებით!

პერსპექტიული კომპანია «კაპიტალინვესტი» თავისი მეანაბრეებისათვის უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ შემოსავალს.
«კაპიტალინვესტი» მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან მიღებულ ანაბრებს აბანდებს მომგებიან საქმეში: სავაჭრო ოპერაციებში, პერსპექტიულ პროექტებში და წარმოებაში.

თქვენი ფული მუშაობს და შემოსავალი მოაქვს თქვენთვის!

რეკვიზიტები საკუპონე ანაბრისათვის:
ა/ა 400467294, «ივერთბანკი», მფო 522942.
სავალუტო ანაბრისათვის:
ა/ა 200070030 «კაპიტალინვესტი».
ბანკიდან გამოგიწერენ ქვითარს შეტანილ ანაბარზე და გაგიფორმებენ ხელშეკრულებას.
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 95-99-07, 99-60-19, 96-71-50
ან მოგვმართეთ მისამართით, უზნაძის, 79
— განათლების სამინისტროს პირდაპირ.

ფულს ვაკეთებინოთ ფული!

„კაპიტალინვესტი“

ნაღდი კუპონებით გახსნილი სამთვიანი ანაბარი იძლევა 100% შემოსავალს,
ეს ნიშნავს რომ თქვენი თავნი წელიწადში 400%-ით გაიზრდება.
იმავე ვადით უნაღდო კუპონებით გახსნილი ანაბრის შემოსავალი 144 პროცენტია.
ნაღდი ვალუტით გახსნილი ანაბარი 6 თვეში 144% ან თვეში — 24 % წმინდა შემოსავალს მოგცემთ.
ანაბარი უნდა შეიტანოთ „ივერთბანკის“ სალაროში 9. 30 – 12. 30 საათამდე, მისამართი: იაშვილის, 18.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

დიალოგი ხელოვანთან

ჟამი განსჯისა,

ანუ ახლა, როცა ენგურამდე გავიტანეთ ლელო...

ქართველი კინოდოკუმენტალისტის გია ჭუბაბრიას სახელის ხსენებაზე, უმალ ცნობიერებაში აღდგება ერთმანეთზე საინტერესო ფილმები „თეთრი თორღვაი“, „ქართველები ნიდერლანდებში“ (2 სერიად), „ორაგულის ბედი“, „თეთრი ზღაპარი“, „აკადემიკოსი ილია ვეკუა“, „ჩუქურთმის საგალობელი“, (იუგოსლავიაში, კერძოდ, სერბიაში შემორჩენილ ქართულ ჩუქურთმიან ძეგლებზე), „ჟამი შეკრებად ქვათა“ და „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში“), წელს რეჟისორი წარდგა საზოგადოების წინაშე ფილმით „გზა თავისუფლებისაკენ“, რომელიც თბილისის ტრაგედიას — 1991-92 წლების ზამთარს მიეძღვნა. ეს არის შინაომის თემაზე შექმნილი ტკივილიანი და მკაცრი სურათი, თუ რის — ანუ რა მატერიალური, ფიზიკური და სულიერი ნგრევის ფასად დაგვიჯდა ჩვენ, ქართველებს, თავისუფლება, რასაც ბაბილონივით ემსხვერპლა თბილისი, მისი შუაგული, 21-ე საუკუნის მიჯნაზე...

.... დიახ, ჰორიზონტზეა 21-ე საუკუნე, საქართველო კი შინაომის ასპარეზი გახდა, რამაც მწვავე ხასიათი მიიღო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აფხაზეთი დავკარგეთ და ექსპრეზიდენტის მომხრეთა და ვაინახთა შემოსევამ საომარ ველად აქცია დასავლეთ საქართველო, ააოხრეს ქალაქები და სოფლები, ფეხქვეშ გათელეს ქართველი ქალის წმინდა მანდილი... ახლა, მართალია, ენგურამდე გავიტანეთ ლელო, მაგრამ ჯერაც არ ვიცით, რას გვიქადის დღე ხვალინდელი.

— ბატონო გია, ძმათა შორის შუღლი, ჩვენდა საუბედუროდ, სამოქალაქო ომად იქცა, მართლაც რომ ეკლიანი და სისხლიანია გზა თავისუფლებისაკენ... თქვენი ბოლო ფილმის ლაიტმოტივიც ხომ ეს სატკივარია.

— სამწუხაროდ, თავისუფლების შენება ნგრევით დავიწყეთ. დავიწყეთ დიდი ხმაურით, აურზაურით, ტრაბახით. ნაკლები საქმით, მოვლენებს გაუმართლებლად ვუსწრებდით წინ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ პოლიტიკური სულსწრაფობა გამოვიჩინეთ, რასაც მოჰყვა ერთმანეთისადმი დაუნდობლობა, დღეს საქართველოს თავისუფალი სახელმწიფო ჰქვია, მაგრამ ამ ჩვენს საბედისწერო დღეს ძალზე მოუმზადებელი შევხვდით. თავზე ჭერი გვინგრევა, ცეცხლი გვიკიდია და ხელს ვითბობთ, — ეს ხომ აბსურდული ფსიქოლოგიის გამოვლენაა!.. მაგრამ თუ ერს უნარი აქვს, თავი ჭეშმარიტად ბოლომდე შეიცნოს, იგი გადარჩება!

...განსჯის ჟამს ადამიანი რასაც თავის თავს გაუმხელს, მას რომ გულახდილად გაგიზიარებთ, დიდი მოქალაქეობრივი ღირსებაა. გია ჭუბაბრია ამ ღირსებით გამოირჩევა სწორედ, ამიტომ, სადღეისო თემაზეც გულახდილად ვისაუბრეთ.

(დასასრული მე-8 გვ.).

ოფიციალური ინფორმაცია

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მოხალისეთა რაზმის „აიეტის“ წევრების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მოხალისეთა რაზმის „აიეტის“ წევრები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:
ჰენრი კუპრაშვილი — რაზმის მეთაური;
შოთა კონიაშვილი — რაზმის წევრი;

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:
ანატოლი (შალვა) ბურდული — რაზმის წევრი;
გიორგი სიხარულიძე — რაზმის წევრი;
ვადიმ ტურძელაძე — რაზმის წევრი.

ე. შევარდნაძე

კურსანტები აკრიტიკებენ პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე თბილისში საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებულ სამხედრო აკადემიას ეწვია. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ კალანდარიშვილი. სტუმრები შეხვდნენ აკადემიის კურსანტებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, კადეტთა კორპუსს, აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს. გაიმართა საუბარი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

დღეს სამხედრო აკადემიის 5 ფაკულტეტზე 150 კურსანტი და კადეტი სწავლობს, რომლებიც საერთო-საჯარისო, ჯავშანსატრანსპორტო, საარტილერიო, სადაზვერვო და შინაგანი სამსახურის დისციპლინებს ეუფლებიან.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ გადაუხადა მასპინძლებს ამ სასწავლო დაწესებულებაში გამეფებული წესრიგისა და საქმიანი ვითარებისთვის და ვრცლად ისაუბრა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება. აკადემიის თანამშრომლებმა ბევრი ისეთი პრობლემა დასვეს, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას ეხება.

განსაკუთრებული კრიტიკა პარლამენტის მისამართით გაისმა და უპირველესად იგი შეეხო პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა კომისიას, რომლის თავმჯდომარეა ნოდარ ნათაძე. თავმჯდომარის პოზიცია ზოგიერთ საკითხზე მწვავედ გააკრიტიკეს.

საერთო აზრით, საჭიროა გაღრმავდეს და გაფართოვდეს აკადემიის კავშირურთიერთობა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან, რომ სამხედროთა აღზრდაში მთელი ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები გამოვიყენოთ.

საქინფორმი

სარდალი კმაყოფილია

ბათუმში იმყოფებოდა საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩიქოვანი. იგი შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს, დაათვალიერა საქვეუწყებო ობიექტები, ესაუბრა შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, დაესწრო ახალგაზრდა მეომართა მიერ ფიცის მიღებას.

— გამაოცა პირადი შემადგენლობის საუცხოო დისციპლინამ, — უთხრა ვ. ჩიქოვანმა ჟურნალისტებს. — მომეწონა ისიც, რომ ახალგაზრდა შევსება კარანტინს გადის. დიდი ხანია არ შევხვედრივართ ამას. რაც შეეხება ოფიცრებს, იგრძნობა, რომ ყველა მათგანს გული შესტკივა საქმისათვის. ეს ხელს უწყობს წარმატებას რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას. სანაქებოა, რომ ქვეგანაყოფი ცხოვრობს ავტონომიურად, შეუძლია გადაადგილდეს და შეასრულოს დავალებანი პრაქტიკულად ნებისმიერ რაიონში. დიდად ვაფასებ მისი მეთაურის ვიცეპოლკოვნიკ მურად ცინცაძის საქმიანობასაც.

ამოცანა, რომელიც შინაგანი ჯარების წინაშე დგას, ყველგან ერთნაირია: სახელმწიფო საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ბრძოლა დამნაშავეობასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ ამ უკანასკნელს, რადგან განვლილმა ომმა დატოვა მრავალი ჯგუფი, რომლებიც შეიარაღებულია და უმართავი. ისინი ძარცვავენ, ტერორს უწყობენ მოსახლეობას. ამ ჯგუფებთან ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ შინაგან ჯარებს.

აჭარაში შენარჩუნებულია მშვიდობა, რაც მისაბაძია. მოხარული ვარ, რომ ბატონი ასლან აბაშიძე გაგებით ეკიდება ჩვენი სამხედრო მოსამსახურების საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რომელთა საბინაო და სამსახურებრივი პირობები მალე გაუმჯობესდება.

ასლან აბაშიძემ კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალთან შეხვედრით და თქვა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს შენობა და ფართობი ოფიცერთა საცხოვრებლის მშენებლობისათვის.

თამაზ გენძეხაძე

თავდამსხმელებს საკადრისად ვუპასუხებთ

1993 წლის 10 დეკემბერს, 22 საათზე შეიარაღებული დაჯგუფება (15 კაცის შემადგენლობით) თავს დაესხა დაბა გარდაბანში რკინიგზის სადგურთან განლაგებულ სასაზღვრო ჯარების მცირერიცხოვან გარნიზონს. თავდამსხმელებმა მოითხოვეს, რომ სასაზღვრო ჯარების გარდაბნის რკინიგზის სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტის პირად შემადგენლობას დაეტოვებინა გარნიზონი.

მათ წარადგინეს საკუთარი თავი, როგორც სვანთა „საძმოს“ წევრებმა ზ. იოსელიანის მეთაურობით.

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობა ამ უხეში, არაპატრიოტული მოქმედების წინააღმდეგია და იძულებულია გააძლიეროს დასახელებული გარნიზონი დამატებითი შეიარაღებული ძალებით.

ვითარების გამწვავებისა და შეიარაღებული თავდასხმის განმეორების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება თავდამსხმელებს.

საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების პრესცენტრი

ეს იყო გუშინ

ამ ომში ექიმებსაც ატყვევებდნენ

დროებით რატომ შეწყვიტა მოღვაწეობა ზუგდიდში მისიამ „ექიმები უსაზღვრებოდ“

1971 წელს ფრანგმა ექიმებმა შექმნეს ჰუმანური, არაპოლიტიზებული ორგანიზაცია „ექიმები უსაზღვრებოდ“, რათა ეკოლოგიური თუ სტიქიური უბედურების დროს დაზარალებული ადამიანებისთვის და საომარ ზონაში მოყოლილი მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება გაეწიათ. ამ მოძრაობას მხარი დაუჭირეს ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც: მისიები ჩამოყალიბდა ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, ესპანეთში.

კავკასიაში „ექიმები უსაზღვრებოდ“ მისიის წარმომადგენლები პირველად სომხეთის მიწისძვრის დროს ჩამოვიდნენ, შემდეგ თბილისში 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა მკურნალობაშიც მონაწილეობდნენ. დღეს ფრანგების მისია — აფხაზეთში მუშაობს, ესპანელების — თბილისში. ამ უკანასკნელის საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცის, თუ არ ჩავთვლით ორიოდე საგაზეთო პუბლიკაციას, რომელიც რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა. არადა, ესპანელი მისიონერები ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობენ დაეხმარონ შიდა ომებისგან შეჭირვებულ რესპუბლიკის მოსახლეობას. სისტემატურად ჩამოაქვთ მედიკამენტები და მოსახლეობას უნაწილებენ, გახსნეს პოლიკლინიკები თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც უფასოდ ემსახურებიან მომხმარებლებს. ასეთივე საქველმოქმედო სამედიცინო დაწესებულების გახსნა ზუგდიდშიც იყო დაგეგმილი, მაგრამ... ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, მოხდა უპრეცენდენტო ფაქტი: ზუგდიდში ექსპრეზიდენტის მომხრეებმა საერთაშორისო წითელი ჯვრისა და „ექიმები უსაზღვრებოდ“ ორგანიზაციის წარმომადგენლები დაატყვევეს, მანქანები წაართვეს.

ეს იყო ჩვენი არსებობის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა — მეუბნება მისიის „ექიმები უსაზღვრებოდ“ სამედიცინო კოორდინატორი საქართველოში ენრიკ ფრეშა. — ინციდენტები როგორ არ ხდება, (იყო მაგალითად, გვინეაში, სომალში, ეკვადორში). მაგრამ ასეთი — არა! დაგვატყვევეს, დაგვკითხეს, თუმც ოფიციალურად ბრალდებები არ წამოუყენებიათ. შემდეგ ტელევიზიით (საუბარია ექსპრეზიდენტის მომხრეთა ზუგდიდის რაიონულ ტელევიზიაზე, — რედ.). გავიგეთ, თითქოს ჩვენ საერთაშორისო ჰუმანური კანონები დავარღვიეთ, რომ ჩვენს შორის იყო მზვერავი და მათ მოწინააღმდეგეს რაციით აწვდიდა ცნობებს.

ეს იყო აბსურდი და აშკარა ცილისწამება. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, არაპოლიტიზებელი, ჰუმანური ორგანიზაცია, არ ვემხრობით არცერთ სამხედრო უწყებას, არცერთ მთავრობას, ბრძოლებში არ ვმონაწილეობთ. ჩვენი ერთადერთი მიზანი ომის მსხვერპლთა, დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაა...

მიუხედავად ჩვენი ორგანიზაციისადმი ასეთი უპატივცემულობისა, შეურაცხყოფის მიუხედავად, ზუგდიდში დაბრუნების სურვილი არ გაგვნელებია, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მის მოსახლეობას ჩვენი დახმარება სჭირდება, — დასძინა ბატონმა ფრეშამ.

მცირე განმარტება: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 233-ე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი — „ნიშანში საქართველოა ამოღებული“, რომელშიც შეცდომით აღვნიშნავდი, რომ საერთაშორისო წითელი ჯვრის მედიკამენტებით დატვირთული მანქანა ცხენისწყლის ხიდზე ნაღმზე აფეთქდა. სინამდვილეში კი იყო ზრა წითელი ჯვრის, არამედ ამ ორგანიზაციის — „ექიმები უსაზღვრებოდ“ — მანქანა და ტვირთი, რომელიც მაშინ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების კონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ, ზუგდიდში მიჰქონდათ. იმ დღეს რამდენიმე ტონა მედიკამენტი, შესახვევი მასალა და აპარატურა დაიწვა. ამ, არცთუ მცირე უზუსტობისთვის ბოდიშს ვიხდი იმ ადამიანების წინაშე, ვისთვისაც ჩვენი ჰირი ღობეს ჩხირი არ არის.

საქართველომ ბოლო დროს იმდენი უბედურება გადაიტანა, თითქმის აღარაფერი გვიკვირს, მაგრამ დასახმარებლად ჩამოსულ უცხოელს რომ ასე უმასპინძლებდნენ, ჩვენში ჯერ არგაგონილი ამბავია.

ესპანეთის მისიის „ექიმები უსაზღვრებოდ“ სამედიცინო კოორდინატორის ასისტენტი ქალბატონი ნინო ლაგვილავა, რომელიც თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებს, სინანულით ამბობს: ეს ხალხი აქ ღამეებს ასწორებს, რომ როგორმე დაგვეხმარონ, გაჭირვებულებს ხელი შეაშველონ და ასეთი რამ როგორ უნდა მომხდარიყოო. მისია საქართველოში ახალი დამკვიდრებულია. ხალხი ხეირიანად არ გვიცნობს და მით უფრო საჭიროა მათი პატივისცემაო.

საერთოდ კი ორგანიზაცია „ექიმები უსაზღვრებოდ“ თავად მკურნალობენ ავადმყოფებს. მედიკამენტების განაწილების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ წამლები კომერციულ აფთიაქებში ვერ უნდა მოხვდეს, ისე კი საერთოდ, ჰუმანური მისიით ჩამოტანილ წამლებს ხშირად „JDA“ აწერია, რაც ქართულად „ინტერნაციონალური გავრცელების ასოციაციის“ ნიშანია და გაყიდვას არ ექვემდებარება, თუმცა ჩვენში შეუძლებელი, როგორც ირკვევა არაფერია.

შოთა მაჭარაშვილი

„მე გამარჯვებად დავბრუნდები თქვენთან, სწორებთან“

მირზა გელოვანის ლექსის ეს სტრიქონი გამახსენდა, როცა 61-ე საშუალო სკოლის კარი შევაღე.

დღეს ამ სკოლაში ნაღვლითა და ცრემლით, სიამაყითა და იმედით სავსე დღეა.

საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატმა 1992 წლიდან დღემდე სამშობლოს დასაცავად 490 ახალგაზრდა გაიწვია, 500-ზე მეტი მოხალისედ წავიდა, 25 დაიღუპა. აქედან ხუთი ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეა: ზაზა ბენდელიანი, ზაზა კიკნაძე, გოჩა ღლონტი, პაატა ქიტუაშვილი, ნიკო ხუგაშვილი...

ერთდროულად საამაყოც არის და სამწუხაროც, რომ სკოლას ჰყავს გმირები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის ფასად დაამტკიცეს სამშობლოს სიყვარული. თქვა თავის გამოსვლაში 61-ე საშუალო სკოლის დირექტორმა იზოლდა ბენდელიანმა.

... შარშან, 2 დეკემბერს სოფელ ტამიშთან ჩაქრა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე...

სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით ზაზა ჯუმბერის ძე ბენდელიანს სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა.

სკოლაში, რომელიც სექტემბრიდან უკვე მის სახელს ატარებს, მოვიდნენ რესპუბლიკისა და საბურთალოს რაიონის კომისარიატების წარმომადგენლები, ამ სკოლის აღზრდილი, აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების ახლობლები.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა, სახელმწიფო მეთაურის მრჩეველმა, პოლკოვნიკმა ჰამლეტ გეგენავამ სახელმწიფო მეთაურის პირადი დავალებით ჯილდო გადასცა გმირის დას. ამ სკოლის ყოფილ მოსწავლეს ვერიკო ბენდელიანს.

გაიხსენეს პედაგოგებმა: ზრდილი, გულისხმიერი, თავმდაბალი ზაზა თანატოლებში მუდამ გამოირჩეოდა, გვეამაყება, რომ მისი აღმზრდელი ვიყავითო.

თანამებრძოლებმა მოიგონეს: ტამიშთან გზის ერთი მონაკვეთი იყო გასავლელი, — უნდა გაერკვიათ დანაღმული იყო თუ არა. მეთაურს სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, ზაზა დავალების შესასრულებლად, აშკარა სიკვდილზე წავიდა, რაზმში ოც კაცამდე იყო. მეგობრები გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა.

ქართლოს და კახა ჭუმბურიძეებმა დათო კევლიშვილმა, ომარ თეთრაძემ (რომელიც მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის წამყვანი მოთამაშე და ხსოვნის სალამოზე დასასწრებად ჩამოვიდა). ხაზი გაუსვეს ზაზას პიროვნულ თვისებებსა და სპორტულ მონაცემებს. საქართველოს ნაკრების წევრი, იგი ქუთაისის „ტორპედოში“ იყო მიწვეული. სწორედ ამ დროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრა, ზაზა ბენდელიანი მამულის დამცველთა რიგებში ჩადგა.

ზაზა ბენდელიანის სახელობის სკოლაში დადიან ამ უბნის გოგო-ბიჭები, იხსენებენ — გოჩას, პაატას, ნიკოს, ზაზას...

ნაზი იმნაიშვილი

ოთარ ჭელიძე

ზღვა და ჯარისკაცი

ბალადა

მოუკიდე სიგარეტს
და, ნაბიჯის გადადგმისას,
ჯარისკაცი სიზმარეთს
აფეთქებამ გადახიზნა.
რა იხილა ნაპირთან,
ბიჭი შეეცოდა შავ ზღვას...
წამალივით აღვრიდა
ტანზე იოდიან ტალღას.
გულდაფლეთილს ნაღმისგან
რაღას უშველიდა, რაღას!..
ბოლოს ზვირთით აღელდა
და თან წაიყოლა სადღაც.

ზარბაზნები და პოეზია

ბალადით გარწმუნებ, რომ ასეა:
ზარბაზნებს არ მოსწონს პოეზია,
როდესაც უთოფო ქართველები, –
სიკვდილის არაფრად ჩამთვლელები, –
ტანკებთან საომრად გადადიან
„ვეფხვისა და მოყმის“ ბალადიდან.

მიტმასნილის დაბრუნება



მხატვარი მურთაზ აბაშიძე

თვალსაზრისი

„ლტოლვილი“ თუ „ხიზანი“

ერთი ტერმინოლოგიური უზუსტობის გამო

საქართველოს ძირ-ძველი კუთხის — აფხაზეთის დაბრუნება მთელი ჩვენი ერის ძალისხმევას მოითხოვს. ამისთვის მეტად მნიშვნელოვანია საკითხის იურიდიული მხარის გაანალიზება, სამართლებრივი არგუმენტების მომარჯვება. სწორედ ამის გამოა საჭირო, ყურადღების გამახვილება ერთ ტერმინოლოგიურ უზუსტობაზეც, რომლის დამკვიდრების ტენდენცია შეიმჩნევა ჩვენს ბოლოდროინდელ სიტყვათხმარებაში.

საქმე შეეხება ტერმინ „ლტოლვილს“. ეს ტერმინი ახლა ყველას პირზე აკერია. ლტოლვილებად მოიხსენიებენ აფხაზეთის მკვიდრ ქართველებს, რომლებიც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილოელ გადამთიელთა დახმარებით აიძულეს მშობლიური კერიდან აყრილიყვნენ და საქართველოს სხვა კუთხეებისთვის შეეფარებინათ თავი. ტერმინი „ლტოლვილი“ ამ მნიშვნელობით გამოიყენება არა მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, არამედ, სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებშიც. „ლტოლვილის“ ამ აზრით გამოყენება ყოვლად გაუმართლებელია.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ დამკვიდრებული ტერმინოლოგიით ლტოლვილი (ბეჟენეც) ეწოდება იმ პირს, ვინც საომარი ვითარების, ტერორისტული რეჟიმის თუ სხვაგვარი ძალადობის გამო იძულებულია დატოვოს საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორია და სხვა სახელმწიფოში ეძიოს თავშესაფარი.

არის კიდევ მეორე კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც მტრის შემოსევის თუ სხვა საფრთხისაგან თავის დასაცავად სახელმწიფოს ერთი კუთხიდან მეორეში გარბიან. ასეთ ადამიანებს „ადგილნაცვალ პირებს“, ხშირად კი „იძულებით გადაადგილებულ პირებს“ უწოდებენ. სწორედ ამ მეორე კატეგორიას მიეკუთვნება აფხაზეთიდან აყრილი და გამოდევნილი ქართველობა. ისინი არიან „იძულებით გადაადგილებული პირები“ და არა „ლტოლვილები“, ვინაიდან აფხაზეთი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. იგი საქართველოს ნაწილია. აფხაზეთიდან აყრილი და გამოძევებული ქართველობა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გაიქცა, რათა თავი დაეღწია მშობლიურ კუთხეში გამეფებული ტერორისტული რეჟიმისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინოლოგია იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულად ითვლება, ზოგიერთი ჩვენი კალმოსანი მაინც ცდილობს არევ-დარევა შეიტანოს ამ საკითხში, გამოთქვამენ აზრს, რომ აფხაზეთიდან გადმოხვეწილ ადამიანებს ოფიციალურად უწოდებენ არა „ლტოლვილებს“, არამედ „იძულებით გადაადგილებულებს“. მათი თქმით, ეს თურმე კეთდება „პოლიტიკური მოსაზრებებით“. ასეთ ავტორებს უნდა შევახსენო, რომ იურიდიული რეჟიმი, რომელსაც ტერმინი „ლტოლვილი“ გამოხატავს, არსებითად განსხვავებულია იმ რეჟიმისაგან, რასაც „იძულებით გადაადგილებული პირი“ გულისხმობს.

საქმე ის არის, რომ აფხაზი სეპარატისტები დიდი ხანია ცდილობენ დაასაბუთონ აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების იდეა. „აფხაზეთი საქართველო არ არის“ გაჰკივიან ამ პოლიტიკური მიმართულების ადეპტები. და აი, ჩვენ, როცა აფხაზეთიდან აყრილ და საქართველოს სხვა კუთხეში გადმოხვეწილ ხალხს „ლტოლვილებს“ ვუწოდებთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ აზრის დამკვიდრებასა ვუწყობთ ხელს და ჩვენი მტრების წისქვილზე ვუშვებთ წყალს. ამ ხალხმა, დატოვა აფხაზეთის სახელმწიფო და წავიდა სხვა სახელმწიფოში, კერძოდ, საქართველოში, ამტკიცებენ ისინი. შემთხვევითი კი არ იყო ის, რომ 1989 წ. აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავების დროს აფხაზური ტელევიზიიდან გაისმოდა ხმები: ვისაც ჩვენთან ცხოვრება არ უნდა, მატარებლის ბილეთს ავუღებთ და თავის რესპუბლიკაში გავისტუმრებთო. ეს ხმები მიმართული იყო აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგ. აფხაზეთი სხვა რესპუბლიკად ითვლებოდა, ხოლო საქართველოს სხვა რესპუბლიკად, ესე იგი, აფხაზეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. აი, ასე მზადდებოდა ჯერ კიდევ 1989 წელს და, ალბათ, უფრო ადრეც ქართველების გამოდევნა აფხაზეთიდან, რაც 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა კიდეც.

ერთი სიტყვით, აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველები „იძულებით გადაადგილებული პირებია“ და არა „ლტოლვილები“, მაგრამ ტერმინი „იძულებით გადაადგილებული პირი“ რუსულიდანაა კალკირებული. ამავე დროს, ის სამსიტყვიანი ტერმინია და ამის გამო ძნელი გამოსაყენებელია პრაქტიკულად. ნაწილობრივ შეიძლება ეს გარემოებაც იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ ტერმინის ნაცვლად პრაქტიკაში თანდათანობით მკვიდრდება „ლტოლვილი“. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ სამსიტყვიან ტერმინს მოვუნახოთ შემცვლელი, რომელიც დასახელებულ მოვლენას ერთი სიტყვით გამოხატავს. ასეთ ტერმინად ჩვენ მიგვაჩნია „ხიზანი“, რომელიც ამ ბოლო დროს აქა-იქ კიდეც გაისმის ხოლმე ხსენებული მნიშვნელობით. მართალია, ხიზანი სპარსული წარმოშობის სიტყვაა, მაგრამ იგი იმდენად გაწინაურებულია და დამკვიდრებულია ქართულში, რომ მისი უცხოური წარმოშობა ახლა აღარც კი იგრძნობა.

„ხიზანს“ ქართულად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მისი ერთი მნიშვნელობა პირდაპირ ემთხვევა იმ შინაარსს, რომელსაც „იძულებით გადაადგილებული პირი“ გამოხატავს. ხიზანი არის „დროებით სხვას შეკედლებული პირი“ (მტრის შემოსევის ან ავადმყოფობის გავრცელების დროს და სხვ.). ასეა ეს ტერმინი ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული), რომელიც 1986 წ. აკად. ა. ჩიქობავას რედაქტორობით გამოიცა. აფხაზეთიდან მტრის შემოსევის შედეგად აყრილი ხალხი მართლაც დროებით არის შეკედლებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. ასეთსავე მდგომარეობაშია ცხინვალიდან დევნილი ქართველობაც, რომელთა უკან დაბრუნების დროც, ალბათ, მალე უნდა დადგეს.

გარდა ამისა „ხიზანს“ ენობრივი თვალსაზრისით აქვს ერთი კარგი თვისებაც. იგი ზმნური წარმოების მდიდარ შესაძლებლობებს შეიცავს. მაგალითად, შეხიზნა, გახიზნა, გამოხიზნა და სხვ. აფხაზეთიდან გამოხიზნულები, ცხინვალიდან გახიზნულები და ა. შ. ამრიგად, „ლტოლვილი“ და „ხიზანი“ ორი სხვადასხვა ტერმინია, რომლებიც ადამიანთა იძულებით გადაადგილების ორ სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს გამოხატავს. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ენათმეცნიერები და ჟურნალისტები არ გამოიჩენენ გულგრილობას ამ საკითხის მიმართ და დაამკვიდრებენ ტერმინ „ხიზანს“ შესაბამისი მნიშვნელობით თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე ხსენებული ტერმინების სწორად გამოყენებას ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტებში, ვინაიდან ამ საკითხს, როგორც ენახეთ, სერიოზული იურიდიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ოთარ გამყრელიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს იურისტ-დემოკრატთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე.
25. 10. 93 წ.

დღეს ვაგრძელებთ იმ საწარმოების და დაწესებულებების, მოქალაქეების სიების გამოქვეყნებას, ვინც რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს შეეწია და სახელმწიფოს მეთაურის მღუარდ შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა

ქ. რუსთავი	
რუსთავის მე-13 საშუალო სკოლა	10000
რუსთავის მერიის ჯანდაცვის განყოფილება	4375
სპგ „აზოტის“ მედსანნაწილი	64280
სადეზინფექციო სადგური	3426
სპგ „ქიმბოჭკოს“ პროფკავშირი	1477
„საქსამშენმასრემონტის“ სამმართველო	4050
„საქსამშენმასრემონტის“ სამმართველო	3150
ელსამონტაჟო საიჯარო სამმართველო	32228
საშენ მასალათა კომბინატი	1091
რუსთავის რკინიგზის სატვირთო სადგური	17271
სპეცმანქანების ასკ	13500
სპგ „ქიმბოჭკო“	2098014
სამოქალაქო თავდაცვის განყოფილება	1832
სახ. საწარმოო „ახალგაზრდული“	30000
კ. შემბანკი	3250
კომშემბანკი	55000
სავაჭრო მაღაზია „თბილხორცი“	2500
ერთობლივი საწარმო „იპი“	15115
კ. ფ. „ბელლითი“	40000
კ. ფ. „ორგო“	35000
კომერციული ფირმა „დავით გარეჯი“	30000
კომერციული ფირმა „ალმასი 91“	10000
კოოპერატივი „ზედმშენი“	100000
კომერციული ფირმა „არგო-200“	20000
მრავალდარგოვანი ფირმა „დაჩი“	3000
მრავალდარგოვანი ფირმა „დვრიტა“	30000
რუსთავის ფირმა „მშენმექანიზაცია“	200000
ფირმა „555“	15000
ფირმა „ამაღლება“	10000
ფირმა „ანამარია“	20000
ფირმა „გეა-90“	20000
ფირმა „გიაკო“	20000
ფირმა „გიაკო“	10000
ფირმა „დორა“	50000

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

ფირმა „ეკვატორი“	20000
ფირმა „ვენერა“ №2 მაღაზია	2000
ფირმა „ზოდი“	20000
ფირმა „ზოდი“	10000
ფირმა „ისარი“	50000
ფირმა „კვაჭაძე“	30000
ფირმა „კოკა“	50000
ფირმა „მამუკა-81“	30000
ფირმა „მეტეხი 93“	2000
ფირმა „ნებიერა“	20000
ფირმა „ნებიერა“	10000
ფირმა „რუბიკონი“	10000
ფირმა „რუსთავი-91“	200000
ფირმა „ფასკუნჯი“	30000
ფირმა „ცივკვება მჭედელი“	30000
ფირმა „წიდა“	100000
ფირმა „ჭოროხი“	2000
ფირმა „ჭოროხი“	20000
ფირმა „ხამსი“	10000
შპს ფირმა „აბა“	150000
შპს ფირმა „სამება-92“	60000
შპს „მუშთარი“	200000
შპს „ოპიზარი-91“	30000
მცირე საწარმო „ფერიტი“	50000
პროფკავშირების რუსთავის რეგიონალური ლიგა	60000
რუსთავის სან. სპეც. ასს	1000000
ქ. ტყიბული	
ტყიბულის ჩაის ფაბრიკა	1000000
ტყიბულის ბინსოცბანკი	163655
ტყიბულის ინდუსტრიაბანკი	149153
ქ. წყალტუბო	
„საქჰიდროენერგომშენის“ №2 ასსც	3186
ვარციხის ჰესის სამშენებლო სამმართველო	16968
წყალტუბოს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო	3260
წყალტუბოს აგრობანკი	70000
მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „გუმათი“	500000
წყალტუბო	298000
ქ. ჭიათურა	
განათლების განყოფილება	7470
კულტურის განყოფილება	10000
ჭიათურის რძის ქარხანა	2000
ჭიათურის რძის ქარხანა	1242
სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო	34702
საქ. რკინიგზის დეპარტამენტის სადგური ჭიათურა	18729
სპგ „ჭიათურმანგანუმი“	166964
საქსოცბანკი	437676
შემბანკი	31000
ჭიათურის ინდუსტრიაბანკი	63431
მრავალდარგოვანი ფირმა „მუზა“	10000
მცირე საწარმო „კიდობანი“	5000
მცირე საწარმო „სათნოება“	2000
მცირე საწარმო „ძელქვა“	50000
მცირე საწარმო „ჯრუჭულა“	200000
ჭიათურის სამგზავრო ასს, მცირე საწარმო „ჯრუჭულა“	137
კოოპერატივი „ქაბული“	10000
კოოპერატივი „წაულა“	200000
გარემოს დაცვის ჭიათურის სპკომიტეტი	1168
სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „მანგანუმი“	10000
ჭიათურის სპკ გაერთიანება	9195
აბაშის რაიონი	
აბაშის აგრობანკი	10690
ამბროლაურის რაიონი	
ამბროლაურის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1230
ამბროლაურის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1410
რაიფინგანი	1191
რაიფინგანი	1191
სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილება	10000
ამბროლაურის საგზაო სამმართველო	11376
ამბროლაურის საგზაო სამმართველო	4293
ამბროლაურის ელექტროქსელი	18684
ამბროლაურის ელექტროქსელი	17783
ასპინძის რაიონი	
ასპინძის აგრობანკი	600
ახალციხის რაიონი	
ნავთობბაზა	500000

გაგრძელება იქნება

№35

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალოგი ხელოვანთან

ჟამი განსჯისა,

ანუ ახლა, როცა ენგურამდე გავიტანეთ ლელო...

(დასასრული).

— უპირველესად, ჩვენ საკუთარი თავი უნდა მოვაწესრიგოთ, ამას წინათ, დღიურში ჩამიწერია: „წესრიგი ერის ჯანმრთელობაა!..“

ორიოდე წლის წინანდელ ერთ-ერთ ინტერვიუშიც განვაცხადე, რომ თავისუფლება დიდი მადლია. იგი გონიერთა ხვედრია, ხოლო დამღუპველია უგუნურთათვის, ისეთი ხალხი, როგორიც ებრაელობაა, რომელსაც აქვს ეკონომიკურად ძლიერი დიასპორა (ისტორიაზე და კულტურაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია), 25 წელიწადი იყო ინგლისის მანდატის ქვეშ და ეს დრო და ქვეშევრდომობა მან ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენა. მცირე ერებს ყოველთვის მართებთ მოთმინება და დიპლომატია, თორემ საქართველო ერთი პატარა ნავია დიდ პოლიტიკურ ოკეანეში.

ისპაჰანში გაზრდილმა, სპარსულქოდიანმა ერეკლე მეორემ რუსეთისკენ გაიხედა — ნახევარმილიონიანი ქართველით ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აიღო გეზი. დღევანდელი დღე ძალზე ჩამოგავს მაშინდელს — გლობალური პრობლემა იგივეა.

სინამდვილემ გვაიძულა, „ყველაფერი ვიღონეთ“, რათა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევსულიყავით. საქართველო პატარა ნავია-მეთქი — აღელვებულ ოკეანეში, ჩვენ საქმე გვაქვს კბილებამდე შეიარაღებულ, პოლიტიკურ ინტრიგებში გამობრძმედილ გოლიათ მეზობელთან, რომელთანაც, ემოციებით და დილეტანტიზმით ვერას გავხდებით. თანამეგობრობაში შესვლის აუცილებლობა ხომ უპირველესად ჩვენმა შინააშლილობამ გამოიწვია, ამას დაერთო ეკონომიკური სიდუხჭირე და ისლამის აღზევების საშიშროება, რის წინაშეც აღმოვჩნდით აფხაზეთში ომის შედეგად, სადაც მძლავრი ისლამური ფუნდამენტალიზმის მწვანე დროშა ფრიალებს!..

ამ ძალთა დაბალანსებას კი მხოლოდ რუსეთი შეძლებს.

პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, ჩვენ ჯერ ვერც ევროპა მიგვიღებს ხელგაშლილი, დასავლეთში ასე რიგად მოუმზადებლები ვერ შევალთ, საამისოდ დროა საჭირო...

რაკი დასავლეთზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი მხცოვანი ქართველი ემიგრანტის — მიხეილ ქავთარაძის წერილი მინდა გავიხსენო, პარიზის ჟურნალ „ივერიაში“ რომ გამოქვეყნდა 1989 წელს, ერთი წლის შემდეგ გაზეთ „თბილისშიც“ გადმოიბეჭდა სათაურით: „ახლა რაღა ვქნათ?“, რომელიც ასე მთავრდება:

„ჩვენ მხოლოდ ორი შესაძლებლობა გვაქვს: პირველი — გავყვეთ გარდაქმნის პროცესს. მეორე — განვაგრძოთ წინააღმდეგობა და ობსტრუქცია, რაც ნამდვილი სიგიჟე იქნება“.

...კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, — ნათქვამია. იმავე წერილშია გამოთქმული სურვილი ამ თვისებების გაძლიერებისა, რაც დღეს ჩვენში სავალალოდ მოიკოჭლებს. ესაა „მოთმინება, სიფრთხილე, წინდაჭვრეტა, ანგარიშიანობა და გარჩევის უნარი ჩვენივე თანამემამულეთა შორის — გონიერ მრჩევლებისა — მჩხავანა კატებისაგან“.

ჩემი მხრივ, დავამატებდი, რომ მოთმინებასთან და დიპლომატიასთან ერთად, აუცილებელია ზნეობის ამოხმობა, შრომა და პროფესიონალიზმი ყოველ დარგში, ყოველნაირ საქმიანობაში.

...ზნეობრიობა მართლაც რომ გაგვიძვირდა, უთვალავი მაგალითია უზნეობისა და ლალატისა ჩვენს სინამდვილეში. რაც შეეხება საქმის ცოდნას, მას ბევრი იჩემებს, მაგრამ ასე როდია... ხშირად დიდი ამბიციები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ, ბედნიერებაა, როდესაც თავის საქმის ჭეშმარიტ ოსტატს ესაუბრები. როგორც დოკუმენტალისტი გია ჭუბაბრია თვალებში უყურებს სინამდვილეს, ჩვენს დუხჭირ ყოფას და მისი ამოსავალი წერტილიც ეს არის:

— კინო არის მრეწველობა, მისი ბაზა ეკონომიკაა — ეს აქსიომაა! — კინო ხომ ხელოვნებისა და ინდუსტრიის შერწყმაა — ხოლო კინომრეწველობით კი უშუალოდ რუსეთთან ვიყავით დაკავშირებული და ვართ ჯერაც. დასავლეთთან ურთიერთობა ამ მხრივ იმდენად ძნელი და ძვირია, რომ ჩვენი სიდუხჭირის გამო, ხელი არ მიგვიწვდება, ინდუსტრიული ბაზისის შექმნა უახლოეს ხანში ჩვენთვის შეუძლებელიც არის. ბევრს დასავლეთის იმედი აქვს, მაგრამ დასავლეთის ორიენტაციისათვის მარტო სურვილი არა კმარა, ეს ეკონომიკური ბაზის და ეკონომიკური მომზადების სიძნელე როდია მარტო, არამედ ფსიქოლოგიური მომზადებაც გვესაჭიროება.

დიდი დასავლეთი არ შემოვა და ვერც შემოვა ერთბაშად ჩვენში, ჩვენთან ურთიერთობაში — დასავლეთმა შეიძლება ხელი გამოგვიწოდოს, ხოლო ყავარჯნების მაგივრობას არ გაგვიწევს, მისი ცხოვრების წესი, მენტალიტეტი სრულიად განსხვავებულია. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ალბათ უმჯობესია, როგორც ჩვენი დიდი ისტორია გვიკარნახებს — მოთმინება და იმედი, რამაც მოგვიყვანა დღემდე. წელანაც ვთქვი, ჯერ საკუთარი თავი, ანუ ქვეყანა უნდა მოვაწესრიგოთ, შემდეგ ვიქონიოთ ანგარიშსწორება და პრეტენზიები გარე სამყაროსთან. შინაურ მოწესრიგებას უნდა მოჰყვეს სწორედ ზნეობის, ინტელექტუალური თუ პროფესიული პოტენციალის საგრძნობი ამაღლება, რასაც ერთი საერთო სახელი — ერის სულიერი ფასეულობა ჰქვია.

ხმაურიანი არც კაცივარგა და არც ერი. თუ ხალხურ სიბრძნეს მივუგდებთ ყურს, ის ასე გვმოძღვრავს: მდინარე იქ არის წყალუხვი, ძლიერი, ღრმა, სადაც უხმაურო და დინჯია, ასეა ადამიანი, ასეა ერიც.

გია ჭუბაბრიას თავის სულიერ მოძღვრად ილია ჭავჭავაძე მიაჩნია, ამიტომ არ გამკვირვებია, რომ მისთვისაც ნაყოფიერია ის წლები, რომლებიც რუსეთში გაუტარებია.

— ჩვენთვის ყველასათვის ზედმიწევნით ნათელია, თუ რას წარმოადგენს რუსეთი. ჩვენ თანამედროვე თერგდალეულები ვართ, იქ მივიღეთ განათლება, ვიცნობთ მის ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ყოფას, ადამიანებს, ვიცით ამ ქვეყნის ავ-კარგი. კინოხელოვნების საფუძველი ეკონომიკაა, როგორც მოგახსენეთ და იგი ძლიერი ქვეყნის ნაყოფია. ჩამორჩენილ ქვეყანაში კინო ვერც განვითარდება.

თაგორი შეიძლება იყოს ინდოეთში, ფიროსმანი — საქართველოში. მაგრამ კინო გაღატაკებულ ქვეყანაში ვერ გაიხარებს.

— არ დავმალავ, დასავლური ორიენტაციის კაცი ვარ, თუმცა, არ ვაიდეალებ. დიდ სახელმწიფოებს თავისი მიზნები აქვთ და დიდი დასავლეთი ჯერჯერობით, ალბათ, მხოლოდ ეპიზოდურად შემოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში — ჩვენი ეკონომიკური ლიანდაგები არ შეესაბამება ევროპულ მატარებელს. ამიტომ, ნებით თუ უნებლიეთ, დიახაც რუსეთთან ვართ დაკავშირებული, მიზეზი გამართლებად არ მიმაჩნია, მაგრამ რეალისტებიც უნდა ვიყოთ. როგორც კინოდოკუმენტალისტს თვალწინ მიდგას ერთი პოლონური დოკუმენტური ფილმის ფრაგმენტი — პოლონეთის კავალერია, ხმალამოწვდილი მხედრები რომ ებრძვიან გერმანულ ტანკებს...

ეს რომანტიკა და თავგანწირვაა, მაგრამ შეუსაბამობაც.

— და ალბათ მეოცე საუკუნის დონ-კიხოტობაც!..

— დიახ, და ამ კადრებს მაგონებს სწორედ ჩვენი ისტორიის ბოლო ოთხი წელიწადი... ქართველობას უთანასწორო ბრძოლა ხვდა წილად და თუ ამ ბრძოლაში მარტონი აღმოვჩნდით, ისევ და ისევ ჩვენი ბრალი იყო, რეალობასა და ლოგიკას უნდა მივდიოთ — განდგომა დამღუპველია. თუმცა, ღმერთმა უწყის, სად გადის ზღვარი დემოკრატიულსა და ველიკოდერჟავულ რუსეთს შორის.

— უმძიმესი დღეები დაგვიდგა, გმინავს საქართველო, თქვენ როგორც კინორეჟისორი, ალბათ, ახალ ფილმზეც ფიქრობთ.

— არა თუ ფილმზე, ფილმებზე, შარშან ზამთარში სამაჩაბლოში ვიყავი და შევქმენი მოკლემეტრაჟიანი სურათი მის დღევანდელობაზე. მომავალი ფილმის სათაური უთუოდ იქნება „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“, თუმცა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია..

...ერთ-ერთი ფილმის თემაც გამანდო, ოღონდ სცენარის დამთავრებამდე ნუ გამამხელთო.

გაგიკვირდებათ, — ამჟამად გადამძლია სიტყვამ — დიდ ინტერესს ვიჩენ ლექსიკონისადმი, კერძოდ, გავასრულე ოცდაათი წლის წინათ წამოწყებული ნაშრომი — კინოტერმინოლოგიის ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი.

— საინტერესოა, როგორ ჩაისახა ეს იდეა.

— ეს მოხდა სამოცდაათიან წლებში, როცა ბატონ ჰაბუა ამირეჯიბის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჯგუფი „ჩვენი ლექსიკონი“. ამ ჯგუფში შედიოდნენ კინომცოდნე ტატა თვალჭრელიძე, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხარატიშვილი, რეჟისორი გურამ ყვანია. სამწუხაროდ, ისინი დღეს ჩვენთან აღარ არიან. მე კინოტერმინოლოგია მომანდეს. ჩვენთან ერთად მუშაობდნენ ნათია ამირეჯიბი, გიორგი დოლიძე, ევგენი მაჭავარიანი, მარლენ კიტია, მერი პაიჭაძე. ჩემთვის ეს საქმე სისხლხორცეული გახდა და ბედნიერი ვარ, რომ თითქმის მოვრჩი, მაგრამ დღევანდელ პირობებში ასეთი კაპიტალური წიგნის გამოცემა ჩემს ძალებს აღემატება, საჭიროა სპონსორი.

—ეს მართლაც საშვილიშვილო საქმეა, და სასიხარულო იქნება, თუკი ჩვენი გაზეთი გახდება შუამავალი თქვენსა და იმ მადლიან კაცს შორის, რომელიც ითავებს ლექსიკონის გამოცემას.

სიკეთის მქმნელს სიკეთე წინ დახვდება — შთამომავლობა დაუფასებს ქველმოქმედებას.

— და არა მარტო ქველმოქმედებაა, მას მოგებაც მოჰყვება.

ახლა უფრო დაწვრილებით ლექსიკონის გარშემო.

წელანაც ვთქვი, ენით და სიტყვით დაინტერესებამ განაპირობა ჩემი შემდგომი მუშაობა, კერძოდ, კინოტერმინოლოგიაზე, რისთვისაც დიდძალი ლიტერატურის შესწავლა-დამუშავება მომიხდა. საჭიროა გამოიკვეთოს ლაკონური და ზუსტი განმარტება, რათა გასაგები და ნათელი გახდეს ტერმინის არსი. შუალედში მსგავსი ხასიათის ნაშრომს გავუწიე რედაქცია (ისევ კინონაწილში), რამაც დიდი გამოცდილება შემძინა. ეს გახლავთ ალისა ყიფშიძის მიერ შედგენილი „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც მალე ხელმეორედ გამოვა.

რაც შეეხება ჩემს ლექსიკონს, იგი ენციკლოპედიური ხასიათისაა და, მასში სამი ათასამდე ტერმინი წარმოდგენილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

გია ჭუბაბრია — კინოდოკუმენტალისტი, გია ჭუბაბრია ლექსიკოლოგი. ახლა ორიოდე სიტყვა შევაწიოთ მას, როგორც პედაგოგს, რადგან ვიცი, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა მისი შემოქმედებითი ცხოვრების არსებითი მხარეა. გარკვეული შუალედის შემდეგ წელს, მან კვლავ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოდოკუმენტალისტიკის სარეჟისორო სახელოსნოში სულ თოთხმეტი მოწაფე შეარჩია იმ ორმოციოდე ახალგაზრდიდან, ვინც ოთხთვიან კონსულტაციებზე დადიოდა. იმ თოთხმეტიდან კი ცხრამ გამოიჩინა თავი გამოცდებზე — მკაცრმა, მაგრამ მიუდგომელმა პედაგოგმა თავიდანვე შეაყვარა თავი სტუდენტებს. ჯგუფში ერთადერთი ქალია. ქალი კინოდოკუმენტალისტი ჩვენში იშვიათობაა.

ჯულიეტა გოგისვანიძე, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოდოკუმენტალისტიკის ფაკულტეტის პირველკურსელი, სიხარულისგან მეცხრე ცაზეა — მისი სანუკვარი ოცნება ახდა, ოცნება, რომელსაც ცხრა წელი ელოლიავებოდა მაღლაკილი გოგონა. შარშან შეხვდა მის მომავალ ხელმძღვანელს, პედაგოგის ალღომ უკარნახა გიას, რომ გოგისვანიძის სურვილი არ იყო უნიადაგო, ნება დართო ევლო კონსულტაციებზე და აი, გაუმართლა კიდეც ჯულიეტას — ობიექტური გამოცდების წყალობით იგი „იოლად“ მოხვდა ინსტიტუტში, რაც მისთვის ფრიად მოულოდნელი იყო. გამოცდაზე მის მიერ წერილობით წარდგენილი ორი საინტერესო შემთხვევა ცხოვრებიდან, ძალზე უშუალო, ორიგინალური და ტკივილიანი იყო. ასე რომ, თავიდანვე იგრძნო მომავალმა კინოდოკუმენტალისტმა, — საყრდენი სინამდვილე უნდა იყოს. პედაგოგი მოითხოვს განათლებას, სურათოვან ხედვას, მხატვრულ სიმართლეს. ჯულიეტა გოგისვანიძის ნაშრომიც ლაკონური და მართალი იყო.

მოუთმენლად ელის ჯულიეტა სამშაბათ დღეს — განრიგით სამშაბათობითა აქვს კურსს სპეცშესავალი და რეჟისურა — ამ დღეს შემოდის აუდიტორიაში ბატონი გია ჭუბაბრია, ზუსტად, ყოველთვის ხალისიანად.

— გაუგებარი ხომ არაფერია — იკითხავს ლექციის ბოლოს. ყველაფერი იმდენად ნათელი და გასაგებია, ისე ჩამოძერწავს სათქმელს, რომ სამარჩიელო არაფერია.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ვმუშაობ მცირე მოცულობის საკურსო ფილმზე, რომლის სათაურია „სიხარულო და სევდავ ჩემო“. იგი ეხება ბავშვებს. სცენარი ძირითადად მოიწონა ხელმძღვანელმა, მისი შენიშვნებიც გავითვალისწინე. ფონი დღევანდელი საქართველოა, როცა ბავშვები ყველაზე მეტად იტანჯებიან და ზარალდებიან...

— ოცწუთიან სურათში უნდა ითქვას სათქმელი, ხელმძღვანელმა ამ თემის განხორციელების სიძნელე არ დაუმალა, მაგრამ გულიც არ გაუტეხა, პედაგოგი ამაყობს თავისი აღზრდილებით. ერთი მათგანის წერილი ამ დღეებში მიიღო გერმანიიდან. შტეფან ტოლცი ქართულად წერს ბარათს ბატონ გიას, რომელთანაც გაატარა 2 წელი და შექმნა შესანიშნავი ფილმი საქართველოზე — „ქართული ხელგაშლილობა“, რომლის პრეზენტაციაც შარშან, თბილისის კინოს სახლში შედგა.

ასე რომ, გია ჭუბაბრია არამარტო ჩინებული ფილმების ოსტატია, იგი ჩინებულ თაობასაც უზრდის საქართველოს კინომემატიანეთა ახალ თაობას, რომლისთვისაც მისი კაცური კაცობა ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის მაგალითია.

ეს თაობა ოცდამეერთე საუკუნეში გადააბიჯებს და ალბათ, პირუთვნელად მოუთხრობს შთამომავლობას საქართველოს ტრაგიკული საუკუნის შესახებ.

ნანა ღვინეფაძე.
1993 წლის გიორგობისთვის 22.

გვეხმაურებიან

ციტრუსს უპატრონოდ ვერ ვუშველით!

14 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით — „განგაშის ზარი“, გამოქვეყნდა გია ქელიძის კრიტიკული წერილი „მანდარინი შველას ითხოვს!“ სამწუხაროდ, მასში მხოლოდ ცალმხრივად, შემხვედრი ინფორმაციის უცოდინარობით, გალმა შედავების პოზიციიდან არის საკითხი განხილული და სამზეოზე გამოტანილი. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აჭარის ხელმძღვანელობა, ცალკეული ორგანიზაციები და მეციტრუსეები ყველაფერს აკეთებენ, როგორც ავტორი წერს, „მანდარინისა და ქვეყნის“ მოვლისათვის, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი კი ბედოვლათობს და ხელს უშლის მათ ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებაში.

არადა, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა რამდენიმე თვის წინათ, აგვისტო-სექტემბერში, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამოენახა საერთო ენა რუსეთის ფედერაციის რკინიგზელებთან, შესაბამის სამინისტროსთან, რომ არნახული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელშეკრულებები გაეფორმებინა და ბარტერული ტვირთის გადაზიდვა მაინც მოხერხებულიყო. ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, რუსეთის რკინიგზა საქართველოს „დამოუკიდებელ“ რკინიგზას არ ცნობს და ოფიციალური დოკუმენტებით, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ენაზე გველაპარაკება: რადგანაც რუსი რკინიგზელები, ურთულესი კრიმინოგენური სიტუაციის გამო, საქართველოში არ მოდიან, თქვენ თვითონ ჩამობრძანდით მათთან, დააინტერესეთ, კონკრეტული კლიენტები შეახვედრეთ და იქნებ, საქმეც მოგვარდესო.

დაინტერესებაში ასეთი რამ იგულისხმება: ხუთვაგონიან შემადგენლობას (რეფრიჟერატორებს) ემსახურება სულ ორი კაცი — მემანქანე და მისი თანაშემწე. მათ ხელზე უნდა გადავუხადოთ სამი მილიონი მანეთი, დეპოს კი იჯარით ვაგონების დაქირავებისათვის — 4 მილიონი. მსგავსი შინაარსის ოფიციალური დოკუმენტი წლეულს, ოქტომბერში მივიღეთ რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის დეპოს უფროსის ა. ნ. პანკოვისაგან. რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობის რეგიონებს არაერთგზის ვთხოვეთ, რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად, რუსეთში საგანგებო მივლინებით გაეგზავნათ მეციტრუსეობის ფირმების წარმომადგენლები, ტვირთის გამგზავნი ცალკეული „კლიენტები“, რომლებიც უფლებამოსილი იქნებოდნენ ორმხრივ სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად. იმის მიუხედავად, რომ საქმეში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროც ჩაერია, აჭარის წარმომადგენლებმა მაინც არავინ გამოგზავნეს. ჩვენი თხოვნა ყურად იღო მხოლოდ ოზურგეთის რაიონმა, რომელმაც სიძვირის გამო (!) ასეთ გარიგებაზე უარი განაცხადა.

საქართველოს ინტერესებისთვის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედება ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ აჭარამ უარყო.

„ბათუმელები დატრიალდნენ, პარტნიორებიც იშოვეს, ხელშეკრულებაც გააფორმეს, სექციები ჩამოიყვანეს, დატვირთეს და პირველი სექცია გამოუშვეს კიდეც“, — ნათქვამია წერილში. ბათუმელებს არავითარი სექცია არ ჩამოუყვანიათ. იქ ჩავიდა რუსეთში კერძო პირის მიერ დაქირავებული ხუთვაგონიანი რეფრიჟერატორი. ამის შესახებ რკინიგზის დეპარტამენტს აცნობეს. მაშინვე მივეცით მითითება, რომ საერთო ენა გამოენახათ მის „მფლობელებთან“. ასეც მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიტვირთა ის 102 ტონა მანდარინი, მაგრამ თბილისში შემადგენლობის ჩამოსვლა დაემთხვა გროზნოს რკინიგზის ბლოკადას. ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზით ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა ტვირთის გატარება. თბილისში ვაგონების დაყოვნება მხოლოდ ამ მოტივით იყო განპირობებული და არა იმით, რომ ვითხოვდით ტვირთგამგზავნების აუცილებელ ჩამოსვლას და ტვირთის სათანადო გაფორმებას. თუმცა, იურიდიულად და მორალურად, ეს საკითხიც აუცილებლად მოსაწესრიგებელია და მსგავს მოთხოვნებს პრეტენზიულობაში ვერავინ ჩაგვითვლის. თბილისში დაჟინებით არავინ „ეპატიჟება აჭარლებს“, არც სამტრედიაში ტვირთის დალპობით ემუქრება ვინმე. ვიმეორებ, საქმე ეხება ელემენტარულ წესრიგს, კოლეგიალობასა და ურთიერთპატივისცემას, რასაც მათი მხრიდან ნამდვილად ვერ ვგრძნობთ.

რაც შეეხება აჭარლების მიერ „დადგენილ“ ახალ მარშრუტს ბათუმიდან და ფოთიდან ნოვოროსიისკსა და ტაგანროგში ზღვით, ხოლო იქიდან რუსეთის რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის შესახებ, თითქმის არაფერი აქვს საერთო საქართველოს რკინიგზასთან. ამ კონტექსტში ახალი მარშრუტის დასახელება მხოლოდ ღიმილს იწვევს.

ერთი სიტყვით, ამ პატარა წერილში ბევრი სიყალბეა. თუ გონიოს აგროფირმის გამოგზავნილ მანდარინს არასახარბიელო ბედი ეწია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარიდან, გონიოდან მას პატრონი არ მოჰყვებოდა. ბედოვლათობაც, რკინიგზის დეპარტამენტს კი არა, სწორედ ტვირთის პატრონს უნდა დაბრალდეს...

რემ ვაშაკიძე,
საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი.

რედაქციისაგან: ციტრუსის დამზადება გრძელდება. ახლა მთავარია, თითოეულმა დაინტერესებულმა ორგანიზაციამ მეტი პრინციპულობა და პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოამჟღავნოს, რომ მთავრობათაშორისი შეთანხმება თურქმენეთისათვის (ბუნებრივი აირის სანაცვლოდ) 9 ათასი ტონა პროდუქციის გაგზავნის შესახებ განუხრელად შესრულდეს. ეს თითოეული ჩვენგანის საარსებო ინტერესებში შედის.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჯონ მეიჯორი კმაყოფილია

„საუცხოო“ უწოდა ჯონ მეიჯორმა ხუთშაბათს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში დადებულ შეთანხმებას მსოფლიო ვაჭრობის თაობაზე. თემთა პალატაში გამოსვლისას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ ვიქნებით იმათ რიცხვში, ვინც ყველაზე მეტად მოიგებს მსოფლიო ტარიფების, კვოტებისა და სხვა შეზღუდვების შემცირების შედეგად“, როგორც დამოუკიდებელმა გამოკვლევამ ცხადყო, რომელიც ჯონ მეიჯორმა დაიმოწმა, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში ახალი მორიგებანი ბრიტანეთს მისცემს ეროვნული წარმოების მოცულობის 4 პროცენტით მატებას. ეს საშუალებას იძლევა ქვეყანაში შეიქმნას 40 ათასი ახალი სამუშაო ადგილი უახლოეს ათწლეულში.

გენერალური ასამბლეა მოუწოდებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა მოუწოდებს ისრაელს უარი თქვას ბირთვული იარაღის ფლობაზე. ეს ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც ხუთშაბათს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 53 ხმით, 65-მა თავი შეიკავა და 45 წინააღმდეგი იყო. „მხედველობაში იღებს რა ამ ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი პროცესის პოზიტიურ განვითარებას, გაეროს გენერალური ასამბლეა მოუწოდებს ისრაელს ხელი აიღოს ბირთვული იარაღის ფლობაზე და შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას“, — აღნიშნულია რეზოლუციაში.

სენატორი შეშფოთებულია

„შეშფოთებული ჩამოვედი ჩერნობილიდან“, ასეთი აზრი გამოთქვა ხუთშაბათს საღამოს, საფრანგეთის სენატში გამოსვლისას, სენატორმა მიშელ პონიატოვსკიმ. იგი ხელმძღვანელობდა საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის დელეგაციას, რომელიც დეკემბრის დამდეგს ეწვია ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რაიონს. „სარკოფაგი“, რომელშიც 1987 წელს ნაჩქარევად მოათავსეს რეაქტორი, სადაც ავარია მოხდა, ბზარებით იფარება და იშლება, — განაცხადა მ. პონიატოვსკიმ. — რეაქტორის ბირთვი კვლავ იძირება გრუნტში და გრუნტის წყლების ჰორიზონტის ხაზს უახლოვდება“.

საშუალო ამერიკელი

საშუალო ამერიკელი, ბოლო სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ახერხებს „შავი დღისათვის“ გადადოს თავისი ხელფასის სულ მხოლოდ 2,5 პროცენტი. ყველაზე მეტი ფული მიაქვს საცხოვრებელს — 28 პროცენტი (ბინის საიჯარო ქირა თუ ბანკისათვის მისაცემლები სახლის საყიდი კრედიტებისათვის პლუს კომუნალური მომსახურება). შემოსავლის 9,2 პროცენტი ხმარდება გადასახადებს, კიდევ დაახლოებით 8,1 პროცენტს იგი იხდის საპენსიო და სხვადასხვა სადაზღვევო ფონდებში, სატრანსპორტო ხარჯებზე მოდის ბიუჯეტის 15,4 პროცენტი, კვებაზე — 12,6 პროცენტი, ტანსაცმელზე — 5 პროცენტი, ჯანმრთელობისათვის გაწეული ხარჯები შეადგენს 5 პროცენტს, გართობებისათვის — 4,4 პროცენტს, „სხვადასხვებისათვის“ — განათლება, შესაწირი, თამბაქოს წევა და სხვა — იხარჯება 9,1 პროცენტი.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

ხუთშაბათს ბელგრადში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას იუგოსლავიაში რუსეთის ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის გაზსადენის ახალი მონაკვეთის ერთობლივი მშენებლობის, დაფინანსებისა და ექსპლუატაციის შესახებ. იგი დადეს რუსეთის გაერთიანება „გაზმრეწვმა“ და ბელგრადის ფირმა „პროგრესმა“, რომლებმაც, ამავე დროს, ამ დიდი პროექტის სარეალიზაციოდ სამრეწველო, სამშენებლო და საფინანსო საწარმოების კონსორციუმი შექმნეს.

წიგნი შვილიშვილებისათვის

ადამიანთა სული

ჩემი ქალიშვილისა და ვაჟის ჩვენდამი დამოკიდებულებით შეძრწუნებულმა ვიგრძენი, რომ აუცილებელი იყო საუბარი ისეთ პიროვნებასთან, რომელსაც საერთო არაფერი ექნებოდა აქაური ცხოვრების წესთან და პარტიულ მონოტონურობასთან. როცა მითხრეს, საქართველოს კათალიკოსი (იგი უკვე ვიხილეთ სიონის ტაძარში მშვენიერი ლიტურგიის მსახურებისას) დიდი გულისყურით ეკიდება ყველას სულიერ შეჭირვებას, ვინც კი მას მიმართავსო, წერილობით ვთხოვე, მიეღე. პასუხი დაუყოვნებლივ მოვიდა. მე აუდიენციაზე წავედი და იმ დღის შემდეგ მრავალჯერ ვიყავი მისი უწმინდესობის სტუმარი.

კათალიკოსი ასე, ორმოცდაათი წლისა იყო, არცთუ მაღალი, შავი, ცოცხალი თვალები და მსუბუქი მანერები ჰქონდა. წარმოშობით მაღალი მთის მხარიდან — ყაზბეგიდან იყო. თვრამეტი წლის ყმაწვილი ყოფილა მამამისს მონასტერში რომ მიუბარებია. მას შემდეგ მთელი სიცოცხლე ბერად დარჩა. შემდგომში ზაგორსკის სასულიერო აკადემია დაამთავრა. ის იმდენად უნაკლოდ მეტყველებდა რუსულად (ქართველები ძალზე იშვიათად ლაპარაკობენ უაქცენტოდ), რომ არაერთხელ შესთავაზეს „ჩრდილოეთში“ დარჩენილიყო, იქ ემსახურა; თან მიანიშნებდნენ, რომ იგი იქ უფრო სწრაფად წაიწევდა წინ, მაგრამ მას საქართველოში მოღვაწეობა ეწადა.

აქ მას თავის მისიად მიაჩნდა მივიწყებული, ძველი ლიტურგიის აღდგენა, რათა ხალხი მიეზიდა ეკლესიაში. ვხედავდით, როგორ მოედინებოდნენ ამ მრავალსაათიან წირვაზე მოხუცებიც, ახალგაზრდებიც; მოდიოდნენ, როგორც კი მშვენიერი გუნდური საგალობლები აჟღერდებოდა (ეს საგალობლები აქ საბერძნეთიდან შემოვიდა მეხუთე საუკუნეში), ეპისკოპოსებისა და დიაკვნების ოქრომკედით ნაქარგი სამოსი დაუვიწყარ, სულში ჩამწვდომ განცდად აქცევდა ლიტურგიას.

ქართული ღვთისმსახურება პირველად მცხეთის უძველეს ტაძარში ვნახეთ მე და ოლიამ. ეს იყო მალე, საქართველოში ჩასვლის შემდეგ. ჩვენთან ერთად, ჩვენი მძღოლი შემოვიდა ეკლესიაში და უცებ დასერიოზულდა, სრულიად შეეცვალა სახე... ხალხი ცოტა იყო, მღვდელი სწრაფად კითხულობდა ლოცვას. ძალიან ციოდა, ახალგაზრდა დიაკვანი მობუზულიყო. უეცრად შევიცანი ქართული სიტყვები „უფალო შეგვიწყალენ“, ასე გამეგონა დიდი ხნის წინათ, ბებიაჩემისგან, ოლღა ევგენიევნასგან... ყურებს არ ვუჯერებდი, ეს იყო ერთადერთი საეკლესიო სიტყვები, რაც ქართულად ვიცოდი. აქ, ამ დიდ, გაყინულ ტაძარში, სადაც ფართოდ გაშლილი ბიზანტიური თვალებით დაგვყურებდა ღვთისმშობელი, უეცრად ეს სიტყვები სადღაც, შიგნით აჟღერდა ჩემში, ძვლებში, სისხლში, წინაპართა ძვლებმა, ძლიერმა რწმენამ იყივლა — მე ჩემი მარადიულობის განაცხადი გავაკეთე.

მოგვიანებით, ხშირად ვიდექი უთვალავი სანთლის შუქით გაბრწყინებულ სიონის ტაძარში, სადაც ჰარმონიული საგალობლების თანხლებით საკმევლის ნისლში გახვეული დიდებული წირვა-დღესასწაული მიმდინარეობდა. და მე ყველაფერი მავიწყდებოდა... მხოლოდ აქ შემეძლო ძალთა მოკრება, მხოლოდ აქ იყო მხარდაჭერა, აქლა ითქმოდა სულს სამყაროს შექმნის ჰარმონია და წესრიგი.

„მათ არცკი იციან, როგორ სჭირდებათ ეკლესია! — ამბობდა კათალიკოსი, — ყველამ მიივიწყა, ჰგონიათ, მოსაწყენია, ამიტომაც ვთავაზობთ ამ მშვენიერებას. ჩვენ აღვადგინეთ, უძველესი, ულამაზესი, აზრით აღსავსე წეს-ჩვეულებები, ხედავთ, როგორ მოეშურებიან აქეთ, ახალგაზრდებიც მოდიან!“

რაღაც აღმტაცი სიხარულის, მტკიცე რწმენის, უძლეველობის განწყობილებას ქმნიდა წირვა — ეკლესიაში პატრიარქის შემოსვლის რიტუალი, მისი შემოსვლა, შემდეგ მისი შებრძანება საკურთხევლის ოქროს კარში... და ყოველთვის თან ახლდა გალობა დიდებული. ხშირად ვიჩოქებდით, საათობით ვიდექით ქვის იატაკზე არამიწიერი ბედნიერებით თავდავიწყებულნი, აღტაცების ცრემლით განბანილნი... დიახ, ეკლესია მძლავრობს იქ, სადაც იტანჯებიან და არა იქ, სადაც კომფორტში ჩაფლულან. რწმენაც აქ გაცილებით ძლიერი იყო, ყველაფერ იმასთან შედარებით, რაც მოწესრიგებულ, ტექნიკურად აღჭურვილ დასავლეთში მინახავს. კათალიკოსი საათობით იდგა ამბიონზე, იდგა როგორც მპყრობელი მთელი ამ დიდებულებისა; ნათელს ასხივებდა მისი სახე. ლოცვისას ხშირად სდიოდა ცრემლი, ცალ ხელში ანთებული სანთელი ეპყრა, ცალში — პატრიარქის კვერთხი. ეკლესიაში ნახავდით თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობებს, რეჟისორებს, მხატვრებს, მეცნიერებს.

developed
en Svetlana
vetlana and
vent to Switz-
na and I saw
she was meet-
think only of
ued on page 170]

პატრიარქის ძალისხმევით, ყველგან აღადგენდნენ მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების ძველ ეკლესიებს, სადღაც შორს, მთებში იყო დედათა და მამათა მონასტრები და სემინარია. თხუთმეტსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა ასაზრდოებს ქართულ ეკლესიას, ასაზრდოებს ტრადიციები და უჩვეულო ავტორიტეტი, რომლითაც იგი სარგებლობს ხალხში. გავლენიანი პარტიული მუშაკებიც კი ვერ ეწინააღმდეგებიან მშობლებისა და ბებიების სურვილს და, მოსკოვისაგან განსხვავებით, თვალს ხუჭავენ ბავშვების მონათვლაზე. მშობლიური ენა, ლოცვა ამ ენაზე, ეკლესიის არქიტექტურა, ხატწერა, ფრესკები — ეს ყველაფერი კულტურის თვითმყოფადობაა, თავისთავადობაა, რომლის ვინმესთვის დათმობა არ შეიძლება. ჩემთვის და ოლგასთვის კი ლიტურგია და წირვა თავდავიწყება და დასვენება იყო.

თავის კაბინეტში ძალზე უბრალოდ და მოკრძალებულად გამოიყურებოდა შავანაფორიანი კათალიკოსი. გრძელი, შავი, ჭაღარაშერეული თმა კეფაზე ჰქონდა შეკრული. ძალიან უნდოდა ყველასთვის გაენაწილებინა მასში დავანებული სულიერი სიმშვიდე, მაგრამ კარგად უწყოდა, რა შორს ვიყავი, იმჟამად სულიერი სიმშვიდისგან.

„აქ ხალხმა დაივიწყა, რა არის სიყვარული, ჰგონიათ, რომ სიყვარულიც ოფიციალურად გააუქმეს საეკლესიო დღესასწაულებთან — შობასთან, აღდგომასთან ერთად, ჩვენ მათ ხელახლა უნდა ვასწავლოთ იგი. თქვენ უნდა ასწავლოთ მას სიყვარული! — ამბობდა და ჩემსკენ მოუთითებდა, — თქვენს შვილებს მხოლოდ სასიყვარულო სიტყვები უნდა მისწეროთ — მათ ხომ სულ დაავიწყდათ სიყვარული! არასოდეს გაკიცხოთ, ნურც შეედავებით, მარტო იმაზე ელაპარაკეთ, როგორ გიყვართ ისინი. სიყვარული გაიმარჯვებს.

მე ყოველდღიურ ჭიდილში ვარ ჩემს მრევლთან. მათ სძულთ ერთმანეთი, მოწინააღმდეგის მოკვლით იმუქრებიან — და, მართლაც, კლავენ! მე მათ შევაგონებ, რომ შურისძიებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება! მაგრამ აქ ეს ტრადიციაა. მეც მემუქრებიან მოკვლით ჩემი ძველი მტრები და მოწინააღმდეგეები — და ვცხოვრობთ ასე, ძვალსა და რბილში გაგვჯდომია სიძულვილი. მაგრამ ნუ გეშინიათ. იარეთ ეკლესიაში. სხვები მეუბნებიან, რა მშვენიერია თქვენი და თქვენი გოგონას ყოფნა აქ, ლიტურგიაზე“.

იგი მე და ოლგას ხშირად გვპატიჟობდა საღამოობით, წირვის შემდეგ, ვახშამზე. იჯდა სუფრასთან და ცალი თვალით ტელევიზორს გახედავდა — ეს იყო ერთადერთი ფანჯარა უღმერთო სააქაოში. სუფრაზე უგემრიელესი, მაგრამ სამარხვო საჭმელი იყო.

ჩვენს გარდა, აქ ხშირად იყვნენ სხვა სტუმრებიც. იგი მფარველობდა მხატვრებს, რომლებიც წმენდდნენ ძველ ფრესკებს, აღადგენდნენ მონასტრებს. მან თავის მოსიყვარულე გულზე მიგვითბო, ცდილობდა, შვილებთან დამოკიდებულების აღდგენის იმედი ჩაენერგა ჩემთვის. ხოლო, როცა ოლიამ ქართულად ლაპარაკი დაიწყო, მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ჩვენ ვიცოდით უცხოეთში, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში მისი მოგზაურობის ამბავი, სადაც აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა პატრიარქებს ხვდებოდა. „მშვიდობისთვის ვიბრძვით, — ჩაცინებით ამბობდა ამ მოგზაურობებზე, — ავღანეთში კი ვერა და ვერ დავამთავრეთ ომი“.

ავღანეთი აქ დიდი თემა იყო, რადგანაც იქ, ძირითადად, ახალგაზრდა ქართველებსა და სომხებს გზავნიდნენ იმ მოტივით, რომ ისინი „კარგად იცნობდნენ მთის პირობებს“. შუა აზიის რესპუბლიკებიდან ჯარისკაცების გაგზავნა სახიფათოდ ითვლებოდა, რადგან შეიძლებოდა, ისინი მეამბოხე მუსულმანთა მხარეზე გადასულიყვნენ. ახალგაზრდა მეომრები ავღანეთში ან იღუპებოდნენ, ან ხეიბრად ბრუნდებოდნენ: „რატომ თავის რუსებს არ გზავნის მოსკოვი?“ კითხულობდნენ აქ. ეს მხოლოდ „ჩრდილოეთისადმი“ სიძულვილს აძლიერებდა.

საქართველოს ისტორია სავსეა მუსლიმან მეზობლებთან — თურქებთან და ირანელებთან სისხლისმღვრელი ომებით. ადრე თემურ-ლენგი და არაბები ესხმოდნენ თავს, სპობდნენ სიცოცხლეს მის მიწაზე, მაგრამ საქართველო ფენიქსებრ აღსდგებოდა. მისი რწმენის კედელი ნიადაგ ეკლესია და სარწმუნოება იყო. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წარსულის ძეგლები იდგა. 1945 წლის გამარჯვების ძეგლი — ეს მართლა მონუმენტური, შთამბეჭდავი კომპოზიციაა: იგი მთის მთელ ფერდობს მოიცავს და მას გამარჯვების ფრთებგაშლილი ფიგურა ასრულებს; იქიდან ქვემოთ მოისწრაფის ჩანჩქერის კასკადი, იქვეა ბიჭუნას ფიგურა ვაზის რტოთი — სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლო, ფანტაზია, სილამაზის გრძნობა, გამომგონებლობა, მგზნებარება გამოარჩევს აქაურ მხატვრებს. შეუძლებელია მთის ფერდობზე მიქჩეფარე წყლის კასკადისა და ვაზისრტოიანი ბიჭუნას დავიწყება. ცენტრში კი უცნობი ჯარისკაცის საფლავია. საქართველოს გამარჯვებისთვის უამრავი სიცოცხლე გაიღო და ახლა ავღანეთში ბრძოლა მისთვის სრული უაზრობაა.

საქართველოს მთელი თავისი არსებობის მანძილზე მიზეზთა და მიზეზთა გამო, გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა. მანქანით მოვიარეთ კავკასიონის მაღალი უღელტეხილები, დავათვალიერეთ მივარდნილი მონასტრები და ეკლესიები და ჩვენს წინაშე იშლებოდა საუკუნეობით უცვლელი ულამაზესი, დიდებული პეიზაჟი. ამ მთებში, ამ ღარტაფებში, — მანგლისისაკენ — ებრძოდნენ მომხდურთ ქართველები: დახუჭეთ თვალი და უმალ ჩაგესმით ცხენების ჭიხვინი, ხმლების ჩახუნი, კვნესა და გოდება; დახუჭეთ თვალი და თქვენს წარმოდგენაში უმალ აზვირთდება სისხლის ღვარები, დაგორდებიან მოჭრილი თავები, ხმლით შუაზე გაპობილი ცხენები... გონებაში გაუგონარი სიცხადით წამოისახა ის, რასაც კარლ გუსტავ იუნგმა „კოლექტიური ქვეცნობიერი“ უწოდა, და უეცრად მივხვდი, რაც აქამდე არ მესმოდა: ქართველობა — ეს არის მგზნებარე, მკაცრი, ფიცხი, არტისტული ბუნების ხალხი, რომლის ხსოვნაში სიკვდილი ბრძოლისა და სიმამაცის ერთობლიობაა, ხოლო სიყვარული ხშირად შურისგებასთან არის წილნაყარი. ეს არის ხალხი, რომლისთვისაც ბრძოლა, ომი ყოველთვის საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვას (ყველაზე რეალური გაგებით) უკავშირდება, ამიტომ არის მისთვის, ყოველივე, მამულთან დაკავშირებული, წმინდათაწმინდა, საღმრთო.

„ქართველებზე მკაცრი და მათზე უნაზესი ადამიანები არ არსებობენ, — მითხრა ერთმა მოსკოველმა ქალმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, — ასეთები შეუძლიათ იყვნენ ერთდროულად! მე დიდხანს ვერ შევეგუე ამ პოლარულობას, წინააღმდეგობრიობას. მერე კი, მგონი, თვითონაც ასეთი გავხდი“. ამ წინააღმდეგობრიობაზე პასტერნაკიც ლაპარაკობს თავის ცნობილ „ტალღებში“. ვისთვის, თუ არა მისთვის, ამდენი ქართველი პოეტის მფარველისა და მეგობრისთვის, უნდა იყოს ნაცნობი ეს ყოველივე. მგრძნობიარობა, მუსიკალურობა, რაღაც უნატიფესი არტისტულობა ენივთება შურისძიების კულტურას, გაუგონარ სიმკაცრეს იმის მიმართ, ვინც „მტრის“ დამღით არის დადაღული. ოპერები, ბალეტები, თქმულებები, ფილმები — ყველაფერი სიკვდილისა და ბრძოლაზეა. დედა საკუთარ ვაჟიშვილს ცოცხლად ატანს კედელში („სურამის ციხე“), რათა ციხე წინაღუდგეს მომხდურს! და ეკლესია ყოველთვის ამწყალობებს და ლოცავს უმკაცრეს ბრძოლას.

უძველესი ქვები, უძველესი ენა, უძველესი ლიტურგია — ხუთი საუკუნით ადრე, ვიდრე კიევის რუსეთი ქრისტიანობას მიიღებდა, აქ კულტურა ჰყვაოდა. განა ამას დღეს ისინი დაივიწყებენ? ამიტომაც, თვით ქრისტიანობა, აქ მშვიდობიანი კი არა, ომისა და გამარჯვებისთვის მოწოდებული სარწმუნოებაა. ქართველი ქართველის ჩვეულებრივი, ყოველდღიური მისალმებისათვის ხმარობს სიტყვას „გამარჯვება“! აქ ტემპერამენტი უფრო მხურვალეა, ვიდრე დასავლურ რაციონალურ რელიგიებში, ხოლო რწმენა განმზადებულია არა მედიტაციისთვის და არა იმისთვის, რომ თუ ერთ მხარეს ალიყურს აგშვებენ, „მიუპყრან ერთკერძოიცა“. წმინდანებსა და სასწაულთმოქმედთ ერთის შემწეობას შესთხოვენ მხოლოდ — მტრის შემუსვრასა და განადგურებას.

ამიტომაც ყოველთვის როდი მამშვიდებდა ამ მიწაზე ოდითგან მცხოვრებ ჩემს ძველთაძველ წინაპართა — უმეტესწილად, ღარიბ მიწის მუშაკთა „ჟურჩული“, მათი „ხმები“. მათს ხმას კი აშკარად მაწვდენდნენ ეს გაზაფხულის ყაყაჩოებით აფეთქებული ბორცვები, მათი ხმა მესმოდა კალმახებით სავსე ვერცხლისფერ მდინარეთა ხმაურში, ამ თვალუწვდენელ ზვრებში. ნიადაგ სისხლსა და თავგანწირვაზე მოგვითხრობენ საქართველოს ეროვნული ფერები — შავი და მუქი წითელი, წითელღვინისფერი. აქ, ჩემს წინაპართა შორის, ვერ ვნახე ვერც რაფინირებული არტისტები, ვერც ინტელიგენტი მწიგნობრები — მხოლოდ სიყვარული მიწისადმი, მამულისადმი! მძიმე შრომისა და ბრძოლის ხმები, სიკვდილთა და მკვლელობათა კვნესა და სიმძიმილი მიხშობდა პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვე თავადი პოეტების მიერ შექმნილ სიყვარულს, მშვენიერ ლირიკულ დანამღერს.

და ჩემს თვალწინ, ვითარცა სიმბოლო ძალისა და რწმენისა, წამოიმართებოდა ჩემი ქართველი ბებია — ახალგაზრდა გლეხი ქალი, რომელმაც თავის ლოთ ქმართან ერთად, პატარა ქალაქში, სიღარიბესა და სიდუხჭირეში ისე გაატარა ცხოვრება, რომ მთელი სიცოცხლე მრეცხავად იმუშავა და წერაკითხვაც კი ვერ ისწავლა. ის წუთითაც არ შეყოყმანებულა, რომ თავისი ვაჟისთვის, რომელიც შემდეგში სახელმწიფოს მეთაური გახდა, წმინდა დედური უტაქტობით და უშუალობით ეთქვა: „მაინც დასანანია, რომ მღვდელი არ გამოხვედი!“ რაც გამოვიდა, მას არ აინტერესებდა, მისი ვაჟი არ გახდა ღვთის მსახური, როგორც დედას სურდა... შვილი აღტაცებული იყო დედის სიმტკიცით. მაგრამ იმასაც იხსენებდა: „როგორ მცემდა! ოჰ-ოჰ-ოჰო, როგორ მირტყამდა!“ — ამაში, როგორც ჩანს, იგი დედის სიყვარულს ხედავდა.

სვეტლანა ალილუევა,

1993 № 9 პოლიტიკა

ინფორმაცია 93

„იბერიის" ლენტიდან

„სამ თვეში წესრიგს დავამყარებ!"

„იბერიას" კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის წევრმა თ. კიტოვანმა განაცხადა, რომ სამშაბათს პარლამენტის სხდომაზე განიხილავენ მის წინადადებას ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების შესახებ: „წინასწარ ვიცი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგი იქნება, სამაგიეროდ, სახელმწიფოს მეთაური მხარს მიჭერს. თუ ჩემს წინადადებას პარლამენტი დაამტკიცებს, სამ თვეში ჩამოვაყალიბებ 10.000 კაციან გვარდიას და წესრიგს დავამყარებ ქვეყანაში".

თბილისი. ირან-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო სახლმა და უნივერმაღ „ბავშვთა სამყარომ" წინადადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტს მათ ბაზაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხი განიხილეს გუშინ მუნიციპალიტეტის კაბინეტის სხდომაზე. წინადადება მიღებულ იქნა, ირან-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო სახლი თავად მოამარაგებს უნივერმაღს ირანის, საქართველოს და სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქციით (ძირითადად საბავშვო ასორტიმენტით) და უზრუნველყოფს „ბავშვთა სამყაროს" თანამედროვე სავაჭრო ინვენტარით.

ახალქალაქი. დიდი თოვლი დევს ჯავახეთის ზეგანზე, ყინვები ზოგჯერ 15 გრადუსს აღწევს. ახალქალაქის რაიონის მოსახლეობა კი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, სინათლე რაიონს მიეწოდება სამ დღეში ერთხელ, გვიან ღამით აწვდიან, ისიც მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში. ამას გარდა, მოსახლეობა მოკლებულია ყველანაირ საინფორმაციო საშუალებას.

ახალქალაქის რაიონში ვერა და ვერ მოხერხდა კუპონით ვაჭრობა. მონოპოლია ფინანსურ სფეროში ძირითადად რუსულ მანეთს უპყრია. მიუხედავად არაერთგზის მხილებისა, სრული განუკითხაობაა საავტობუსო ტრანსპორტით მგზავრობის ანაზღაურებაში, როგორც შიდარაიონულ, ასევე რესპუბლიკურ მარშრუტებზე.

მეორე თვეა არ გამოდის ადგილობრივი ორენოვანი გაზეთი „შუქურა". რედაქციის კოლექტივმა დიდი გაჭირვებით შეძლო ქაღალდის შოვნა, მაგრამ აქაც ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა დგას.

25 წლის შემდეგ

რობერტ სტურუა კვლავ მიუბრუნდა ბრეხტის პიესას „სეჩუანელი კეთილი ადამიანი". შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლში, რომლის პრემიერა ახალწლისწინა დღეებში გაიმართება, ძირითადად, მონაწილეობს ახალგაზრდა მსახიობთა ანსამბლი. სცენოგრაფია ეკუთვნით გოგი მესხიშვილს, მირიან შველიძესა და შოთა გლურჯიძეს, მუსიკალური გაფორმება — „ადიოს" ჯგუფს.

●

მთავარი პრიზი ჩვენია

ლაიფციგის ყველა ეკლესიის ქრისტიანული ასოციაციის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი გადაეცა ქართველ კინორეჟისორს ვახტანგ მიქელაძეს მის მიერ წარმოდგენილი ახალი სურათისათვის „ნაცრისფერი ყვავილები".

როგორც აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს ვ. მიქელაძემ, სურათს შეფასება მიეცა მისი ზნეობრივი მხარის გამო. ეს არის ფილმი სისხლის სამართლის დამნაშავე ბავშვებზე, რომელსაც რეჟისორი სამ წელიწადს იღებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის კოლონიებში, ბანაკებსა და ციხეებში. „ეს არის სურათი ჩემს ავადმყოფ ქვეყანაზე, რომელიც მაინც მიყვარს", — თქვა რეჟისორმა.

ვაი, სირცხვილო!..

„რაც კარგები ვართ..."

ყველამ კარგად იცის, სად და რა დანიშნულებით გამოიყენება ტუალეტის ქაღალდი...

უწინ ტუალეტის ქაღალდს რამდენიმე კაპიკად ვიძენდით, დღეს რამდენიმე ათასი კუპონი ღირს.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ჩვენში პატარძალს მზითევში უპირველეს საჩუქრად „ვეფხისტყაოსანს" და ჭადრაკს ატანდნენ..

დრო შეიცვალა. საჩუქრებიც შეიცვალა. მახსენდება ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, ერთმა ჩემმა მეგობარმა ჩვენი საერთო მეგობრის ქალიშვილს ქორწილში საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი" მიართვა. პატარძალმა საჩუქრისათვის მადლობა კი გადაუხადა, მაგრამ წიგნს ზედაც არ დახედა, გვერდზე ისე გადადო. სამაგიეროდ, თვალებგაბრწყინებულმა ატრიალა ხელში სხვის მიერ ნაბოძები ვერცხლით გაწყობილი ბროლის საშაქრე.

ახლა რომ ვუფიქრდები, აი, მაშინ უნდა ჩამოგვერეკა საგანგაშო ზარები, ადრევე უნდა დაგვენახა ჩვენს ყოფაში გაჩენილი ზნეობრივი ბზარი!..

ვიცი, ახლა ცოტა უხერხულად შეიშმუშნე, ძვირფასო მკითხველო! შეიძლება გულიც კი მოგივიდა ჩემზე, ეს რა აბდაუბდა გამოდის, ტუალეტის ქაღალდით დაიწყე და უცებ „ვეფხისტყაოსანზე" ავარდიო!

თქვენ გგონიათ მე ნაკლებად ვარ გაოცებული? ლამის თმები ყალყზე დამიდგა, როცა გავიგე, რომ ეს ორი სრულიად განსხვავებული საგანი ურთიერთკავშირში აღმოჩნდა. გიამბობთ, რაც მოხდა.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში შენახულია მტრის ტყვიით გახვრეტილი „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც ქართველი მეომარი სიკვდილისგან უხსნია... მეომარს იგი გულისფიცარზე ხატივით ჰქონია აკრული.

ერთი ჩემი ნაცნობის ოჯახშიც ინახება „ვეფხისტყაოსანის" იშვიათი ეგზემპლარი, რომელსაც გარეკანი ლურსმნით აქვს გახვრეტილი. ნახვრეტში ბაწარია გაკვანძული. წიგნი იმ ჩემს ნაცნობს სოფელში ერთ თავის მოკეთესთან სტუმრობისას... ჩეჩმაში უნახავს ლურსმანზე ჩამოკიდებული. წინა ფურცლები — შესავალი და „ამბავი მეფე როსტევანისა" — ამოგლეჯილია... წიგნი მასპინძელთა უჩუმრად წამოუღია. გულგასიებულს არაფერი უთქვამს. არც მაშინ ამოუღია ხმა, როცა მასპინძელ ქალს წიგნის მოპარვა ბავშვებისთვის გადაუბრალებია, ეს გადარეულები ქაღალდს აღარ მიყენებენო!

გესმით?

ახლა მიმიხვდი, ჩემო მკითხველო, რატომ დავიწყე ტუალეტის ქაღალდით?

მე რომ ამ ამბავს შევსწრებოდი, ალბათ გულიც გამისკდებოდა! მას კი, ჩემს ნაცნობს, ეტყობა, მაგარი გული აქვს, ისე ჩუმად და მოთმინებით რომ მოუტაცნია შებილწული წიგნი და ახლა ინახავს მას, ყდაგახვრეტილს, კანფგაყრილს, ფურცლებამოგლეჯილს... ინახავს, როგორც ჩვენი ზნეობის დაცემის სიმბოლოს, ჩვენი სინდის-ნამუსის წარყვნის ნიშანს!

უკუღმართმა ცხოვრებამ გადაგვიბრუნა ტვინი თუ გადაბრუნებულმა ტვინმა გააუკუღმართა ჩვენი ცხოვრება?

საკითხავი აი, ეს არი!

თენგიზ გოგოლაძე.

ტკივილი

კიბე

ვერაფრით ვერ გამიხსენებია, რამდენი საფეხური ჰქონდა ჩვენი სახლის კიბეს. ვის ვკითხო, ოჯახში არავინ იცის, ნათესავებს და ახლობლებს, მით უმეტეს, რა ეცოდინებათ. ყველანი მხრებს იჩეჩავენ, არასდროს არ გვიფიქრია მაგის დათვლა ან რა დათვლიდაო. მამა რომ ყოფილიყო ცოცხალი, აუცილებლად ემახსოვრებოდა. იმან იცოდა ყოველ წვრილმანზე ყურადღების მიქცევა. თუმცა, სულაც არ მეჩვენება წვრილმანად, არ იცოდე რამდენი საფეხური ჰქონდა კიბეს, იმ სახლში, სადაც დაიბადე და გაიზარდე.. კიბე კი მართლაც უცნაური გვქონდა. ზედ ჭიშკართან იწყებოდა და მთელ ეზოს გასდევდა. სულ მაღლა, მაღლა ადიოდა, არა და არ თავდებოდა. პირველ სართულამდე რომ ახვიდოდი, „მოედანზე" შეისვენებდი, მერე ისევ კიბე და სადარბაზოს კარი უზარმაზარი სახლით. სახლი იმდენად დიდი იყო, რომ თავს ვერ იმაგრებდა, განსაკუთრებით გაუჭირდა ბოლო წლებში, როცა მეწყერები ჩამოწვა. გვეშინოდა. ჩვენ კი არა, მეზობლებსაც ეშინოდათ, ეგ სახლი კარგად გაამაგრეთ, თორემ თუ ჩამოინგრა, სხვა სახლსაც ჩაიყოლებსო.

ყველაზე უცნაური მაინც „მოედანზე" „ამოსული" დიდი მსხლის ხე იყო. მართლა „მოედანზე" ხომ არ იქნებოდა ამოსული, მაგრამ მიწა არ ჩანდა. მიწა ბეტონით იყო დაფარული და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ხე ზედ ცემენტზე ამოსულაო. მნახველები გაკვირვებით იქნევდნენ თავს, სოხუმის ცენტრში ასეთი ადგილი სად მოძებნა ამ ხალხმა, ან ასეთი კიბე რამ მოაფიქრებინათ, ან ეს მსხლის ხე აქ საიდან გაჩნდაო. ეკითხებოდნენ კიდეც მამაჩემს, თუ მაინცდამაინც ეს ადგილი გინდოდათ, ჭიშკართან, ვაკე ადგილას აგეშენებინათ სახლი, ამ ციცაბოზე რამ აგიყვანათო. მამაჩემი ამაზე გაიცინებდა: — მთელი ეშხი სწორედ ასეთი სახლი და ასეთი კიბეაო, იტყოდა. არა, მამაჩემს ნამდვილად ექნებოდა კიბის საფეხურები დათვლილი.

ნეტა, იმ ჩეჩენმა თუ დაითვალა, დღეს რომ ჩემს სახლში ცხოვრობს?

მზია გელენავა.

რეპლიკა

მერიამ დაავალა, დირექტორი უარზეა..

თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯთან არსებობს სტუდენტთა სასადილო, რომელიც ძირითადად რაიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ემსახურება, მათ შორის არიან ეკონომიურად ძალზე გაჭირვებულები, რომელთა კვებაც ხდება სასწავლებლის ხარჯზე.

რესპუბლიკაში შექმნილმა ეკონომიურმა კრიზისმა ძალზე გაამწვავა პურითა და პურპროდუქტებით აღნიშნული სასადილოს მომარაგება.

საკითხის მოგვარებაში კოლეჯის დირექტორმა დახმარება სთხოვა ქალაქის მერიას, რომელმაც დაავალა დიდუბის რაიონის მე-5 პურის ქარხანას დღეში 40 პურის გამოყოფა, მაგრამ ქარხნის დირექტორს ამ საკითხის გაგონებაც არ უნდა.

ამჟამად სასადილო ერთი კვირაა დაკეტილია უპურობის გამო, არადა საკითხავია სად იკვებონ სასწავლებლად ჩამოსულმა ახალგაზრდებმა. სად მიდის სტუდენტთა ნორმირებული პური?!

იზა ჯაჭვაძე.

ფირმა „ვერნისაჟის" ვერნისაჟი

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოში ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი დარგია მხატვრობა. ამ დღეებში მარტო დედაქალაქის საგამოფენო დარბაზები 10 საშობაო ვერნისაჟს უმასპინძლებს. მხოლოდ ეგაა, უამრავი პრობლემებით გადატვირთული დამთვალიერებელი, რამდენად შეძლებს სულისთვისაც გაიღოს მცირედი...

ჩვენს მხატვრებს აქვთ ამის იმედი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოფენები არც მოეწყობოდა. და კიდევ, მიაჩნიათ, რომ თბილისის საზოგადოებრიობა მხატვრობაში კარგად გაცნობიერებული დამთვალიერებელია და მის წინაშე წარდგომა ერთგვარი შემოქმედებითი დაფასებაა.

თავიანთ გამოფენას, რომელიც შაბათს, 18 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ლესელიძის ქუჩა № 22-ში, ფირმა „ვერნისაჟის" საგამოფენო სალონში მოეწყობა, მხატვრები ქეთევან მატაბელი, გია გუგუშვილი და რამაზ ჩანტლაძე აფასებენ, როგორც ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესის ერთ სამუშაო მონაკვეთს ექსპრომტად. გამოფენა არ იქნება რელიგიური თემატიკით წარმოდგენილი და ამდენად, არც საშობაო გამოფენად ჩაითვლება. პეიზაჟი, ნატურმორტი, კოლაჟი, თემატურ-დეკორატიული აბსტრაქციები უდავოდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვპირდება. მხატვრებს ხომ კარგად იცნობს დედაქალაქის ხელოვნებისმოყვარე საზოგადოებრიობა, 1984 წლიდან — ევროპელი დამთვალიერებელი. მათ ხუთი ერთობლივი გამოფენა მოუწყვიათ საზღვარგარეთ — გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიაში, მექსიკაში, ლიტვაში, რუსეთში... ამჟამადაც დიდი შემოქმედებითი „ტურნეებისათვის" ემზადებიან საზღვარგარეთ... თბილისელთა წინაშე კი სამეული პირველად წარსდგება.

ფირმა „ვერნისაჟის" და „არაგვი კორპორეიშენის" ხელმძღვანელები, რომელთა ინიციატივითა და ხელშეწყობით ხდება თბილისის ძველ უბანში ამ გამოფენის დემონსტრირება, თვლიან, რომ სალონური ხასიათის მიცემა ამ გამოფენისათვის მეტ უშუალობასა და სითბოს მოიტანს. ამასთან, მხატვრულ სურათთა ერთი ნაწილი გაიყიდება, შემოსავალი ყველაზე ნაკლებად დაცულ სოციალურ ფენებს — მოხუცებსა და ინვალიდებს გადაეცემათ.

გამოფენა 7 იანვრამდე გასტანს და მასზე მხატვართა უკანასკნელი ორი წლის ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

მისი მოწყობით მხატვრებმა და ორგანიზატორებმა თავიანთი სიტყვა თქვეს, ახლა ჩვენი თანადგომა ხდება საჭირო, ისევე ჩვენი სულიერი მხნეობისათვის, ესთეტიკური გრძნობების გაღვიძებისათვის, რათა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, როგორ კი არა, რითი ვცხოვრობდით.

მანანა დოლენჯაშვილი.

საქართველოს მოსახლეობას!

დღეს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთული პერიოდი უდგას. ისტორიულმა სინამდვილემ და ბედის უკუღმართობამ საქართველოს 26 საუკუნეზე მეტი ხნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის, უმდიდრესი ბუნებრივი, კულტურული, სულიერი, ისტორიული წარსულის ქვეყანა დაკნინების პირას მიიყვანა.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი და სოციალური დაძაბულობა ქმნის მეტად არასახარბიელო ფონს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და განვითარებისათვის.

ჩვენ, საქართველოს ბიზნესმენთა საინიციატივო ჯგუფი, ვგრძნობთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე, საქვეყნოდ ვაცხადებთ:

საქართველო დღემდე რჩება კერძო მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებისათვის არახელსაყრელ ზონად. საქართველოს მოსახლეობამ და მთავრობამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაიცნობიერა ცივილიზებული ბიზნესის ჭეშმარიტი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ჩამოყალიბებაში. საკმარისია ითქვას, რომ დღემდე არ არის შემუშავებული საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო გარანტიების სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეწარმის ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მხარდაჭერა.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების არსებული სტრუქტურები, რომლებსაც ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის გატარება აკისრიათ, თავიანთი შინაარსითა და ფორმით აღარ შეესაბამებიან დღევანდელ პირობებს, რის გამოც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა ქვეყანაში პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ამდენად, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ვერანაირი, თუნდაც თეორიულად იდეალურს მიახლოებული, პროგრამა ვერ შესრულდება სახელმწიფო რეგულირების თვისებრივად ახალი, არსებული ვითარების ადეკვატური სახელმწიფო-მმართველობითი ორგანოების შეუქმნელად.

ბოლო ხანს თავი იჩინა სახელმწიფო მონოპოლიზმის კლასობრივ მონოპოლიზმად შეცვლის საშიშმა სიმპტომებმა, რაც საქართველოს წინასწარ უმზადებს „ბანანის რესპუბლიკის" სტატუსს. ხორბლის, შაქრის, ენერგოშემცველების მონოპოლისტურმა სპეკულაციამ ადგილი დაუთმო აშკარა [illegible]. სახელმწიფოს ახრჩობენ მაფია და ბიზნესს ამოფარებული დამტაცებლები.

არ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ არსებული მთავრობის შეცვლა თავისთავად არის ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის პანაცეა. დღევანდელ პირობებში ნებისმიერი მთავრობა უმწეო იქნება, თუკი ყველა ჩვენგანმა, და **პირველ რიგში, ბიზნესმენებმა, ძირითადი პასუხისმგებლობა არ ვიკისრეთ ნორმალური სამოქალაქო-სამართლებრივი საზოგადოების შექმნისათვის.**

დადგა დრო, როცა ქვეყანამ და ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს არჩევანი და მტკიცედ დაადგეს საბაზრო ურთიერთობათა განვითარების გზას.

ხსნა ახალ აზროვნებაშია, ახალ პირობებშია, ახალ ადამიანებშია. ახალი აზროვნება ნიშნავს რეალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას და არა მის დეკლარირებას. ახალი ადამიანები - ეს მესაკუთრეების, მეწარმეების, ბიზნესმენების ახალი პლეადაა, რომელსაც შეუძლია გადაიქცეს ქვეყნის სტაბილიზაციის რეალურ გარანტად. ამისათვის აუცილებელია მშვიდობა, წესრიგი და ეკონომიკური რეფორმა:

მშვიდობა —	ქვეყნის ნორმალური და სტაბილური განვითარებისათვის, მყარი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის;
წესრიგი —	მშვიდობის შესანარჩუნებლად, ადამიანის უფლებებისა და ღირსების დასაცავად;
ეკონომიკური რეფორმა —	საზოგადოებაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც იქნება მშვიდობის, წესრიგის და მდგრადი, მყარი განვითარების გარანტი.

საქართველოს ბიზნესმენებს იმედს გვინერგავს [illegible] ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზაციის ახალი პოლიტიკური [illegible]

საქართველოს ბიზნესმენთა საინიციატივო ჯგუფის სახელით: „TBC" თბილისის ბიზნეს ცენტრი, „BATA", „BABYLON", „TBC-ბანკი", „TBC-TOUR", [illegible] „PENTA-5", [illegible]

გახსენება

„ცოდვაა, როცა ვაჟკაცი უნდა გადიქცეს მიწადა"

მუდამ ურიამული იყო შარიფაშვილების ოჯახში. ნიადაგ გულუხვი მასპინძლობა იცოდა ქალბატონმა ევგენია კელაპტრიშვილმა. ნაადრევად უმეუღლოდ დარჩენილი ჭაპან-წყვეტით ზრდიდა შვილებს, ბავშვობიდან ჩაუნერგა მათ სამშობლოს სიყვარული, მეგობრისთვის თავდადება. „ვაჟკაცად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა", — ეს სიტყვები სამართლიანად მიესადაგება ქალბატონ ევგენიას ისეთი ღირსეული შვილის აღზრდისთვის, როგორიც იყო კასპის რაიონის გამგებელი, ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე, პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი.

20 დეკემბერს ტარიელს 33 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ არ დასცალდა. 25 სექტემბერს აფხაზეთში შეწყდა მისი სიცოცხლე. მხიარული ოჯახი ახლა გლოვას მოუცავს, ირგვლივ მდუმარება გამეფებულა. ძნელია უახლოეს ადამიანზე წარსულ დროში ლაპარაკი, მისი ვაჟკაცური სული ახლა მარადისობაშია გადასახლებული, კედლიდან კი მისი პორტრეტი შემოგვცქერის გაღიმებული და თვალებში სიკეთეჩამდგარი.

სამაჩაბლოში იყო თუ აფხაზეთის ომში ტარიელი ფრონტის წინა ხაზზე იდგა თავისი ბატალიონის მებრძოლებთან ერთად. თვითონ მრავალჯერ დაჭრილს არაერთხელ გამოუყვანია დაჭრილი მეომრები ბრძოლის ველიდან, საავადმყოფოში ჩაუბარებია და ისევ უკან დაბრუნებულა. მუდამ საქვეყნო საქმით გართულს ახლადშექმნილი ოჯახისთვისაც არ ეცალა. ურჩევდნენ, აღარ წასულიყო საომრად, მაგრამ არ დაიშალა, მეგობრებს ვერ ვუღალატებო. თავისი გმირული საქციელით მან უკვდავება დაიმკვიდრა.

ეს დაბადების დღე სავსებით განსხვავდება წინა დღეობებისაგან. დღემდე არ განელებულა მასთან განშორების სევდა. რა მოუშუშებს ჩვენს გულს მისი უდროო წასვლით მიყენებულ იარას.

ძმაო, ტარიელ! ქართველმა ერმა დააფასა შენი გმირობა — სიკვდილის შემდეგ დაგაჯილდოვა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით და მოგანიჭა გენერლის წოდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

მაია ახაკაშვილი.

საჭადრაკო შაბათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ველიმირ კალანდაძე.

„ცბიერი" მხედარი

მხედრის ძირითადი თვისება, რომელიც მას სხვა საჭადრაკო ფიგურისაგან გამოარჩევს არის ის, რომ ის თავის ზიგზაგზე მოძრაობის დროს ყოველ სვლაზე იცვლის უჯრის ფერს. მხედარი სიძლიერით ლაზიერსა და ეტლს ჩამორჩება, ხოლო „ცბიერებით" ჭადრაკში ფრიად გამორჩეული ფიგურაა. ჭადრაკში მხედრის არსი და დანიშნულება მახვილგონივრულად დაახასიათა ფრანგმა დიდოსტატმა ს. ტარტაკოვერმა: „მთელი საჭადრაკო პარტია ეს არის ერთი შენიღბული სვლა მხედრით". დებიუტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხედრების დროულ გამოყვანა-განვითარებას, მათ მნიშვნელოვან პუნქტებზე განლაგებას საერთო სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისას და მის ჰარმონიულ კოორდინაციას სხვა ფიგურებთან.

საჭადრაკო ხელოვნების საგანძურიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც მხედრები არა მარტო ბრწყინვალედ წარმართავენ სადებიუტო ბრძოლას, არამედ ეფექტურად აგვირგვინებენ ამა თუ იმ სახის კომბინაციას.

მოგვყავს პარტია, სადაც თეთრი მხედრების ეფექტური საფინალო იერიში დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. დიაგრამა № 1).



კაჟიჩი — ვუკოვიჩი (იუგოსლავია), 1940 წ.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 მf6 4. d4 ed 5. 0-0 კc5 6. e5 d5 7. ef dc 8. ეe1+ მფf8 9. კg5 gf 10. კh6+! მფg8 11. მc3! კg4 12. მe4 b6? 13. c3 მe5? 14. მ:e5!!

თეთრები სწირავენ ლაზიერს და ამის შემდეგ თეთრი მხედრები მთელი სიძლიერით წარმართავენ თამაშს. ბოლოს კი, მოხდენილი შამათით აგვირგვინებენ პარტიას.

კ:d4 15. მd7!! კe7 16. მef6+! კ:f6 17. ეe8+! ლ:e8 18. მf6×! მეტად მიმზიდველი ფინალია.



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საეტიუდო ხელოვნებაც მდიდარია ისეთი ეტიუდებით, სადაც ძირითადი საჭადრაკო იდეები ხორციელდება მხოლოდ მხედრების მონაწილეობით. ამ ჟანრში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელგანთქმული ქართველი დიდოსტატის გ. ნადარეიშვილის შემოქმედება, რომელმაც მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა „მხედრულის" თემაზე. № 2 დიაგრამაზე გამოსახულია გ. ნადარეიშვილის ეტიუდი, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ. ეტიუდში თეთრი მხედრები „ხორთით" მიაცილებენ შავ მეფეს a1 უჯრაზე და იქ მას მარადიულ ბლოკადას უწყობენ. იქმნება მეტად საინტერესო საყაიმო პოზიცია. შეეცადეთ მის მიგნებას!

თუ მშვიდობა იქნა...

კარგახნის განმავლობაში ესმით გულშემატკივრებს „მართვეს" საკალათბურთო სკოლის აღსაზრდელთა მიერ მოპოვებული სხვადასხვა რანგის წარმატებების შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ ჭაბუკთა კლუბი — „კაქტუსი" აღიარებული სპეციალისტების — თამაზ ოქრუაშვილისა და მერაბ ცირიკიძის თავკაცობით მოზრდილთა ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

ჩვენ, ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რა უჭირთ და რა ულხინთ ვერის ბაღში განლაგებულ ტალანტთა ამ სამჭედლოში და გავესაუბრეთ მთავარ მწვრთნელს თ. ოქრუაშვილს.

— ჩვენი სკოლის ბავშვთა სექციებში 1980 და 1982 წლებში დაბადებული ნორჩები ვარჯიშობენ. გარდა ვერის ბაღისა, ჯგუფები გახსნილია სკა-ს დარბაზში და დიდუბის მანეჟში. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში სინათლე და გათბობა ჯერჯერობით არის, მტკივნეული საკითხები მაინც გვაქვს. ეს ძირითადად ეხება ბურთებსა და ფორმებს, რომლის დეფიციტსაც მწვავედ განვიცდით. აღსანიშნავია, რომ ჩვენთან ვარჯიში ბავშვებს არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის სწავლაში, პირიქით...

— მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ფირმა „კაქტუსის" ხელმძღვანელობა, რომლის ძალისხმევითაც მოხერხდა კლუბისათვის არაერთი საკითხის წარმატებით გადაჭრა. სწორედ ჩვენს მომაგეთა პატივსაცემად თამაშობს ჩვენი გუნდი — ყოფილი „მართვე" ახალ სეზონში შეცვლილი სახელით.

— ერთი სიტყვით — დასძინა დასასრულს ბატონმა თამაზმა — ყველანაირ პრობლემებს დავძლევთ, თუ ქვეყანაში იქნება მშვიდობა და სტაბილური ვითარება.

ზაზუა მახარაძე.

ხსოვნა

დემოლან თაბაგარი

საქართველოს გეოლოგიურმა საზოგადოებამ დაკარგა თვალსაჩინო გეოლოგი, ჭიათურის მანგანუმის საბადოს შესანიშნავი მკვლევარი, გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მთავარი გეოლოგი დემოლან (ბიჭიკო) თაბაგარი.

ბატონი ბიჭიკო 30 წელიწადზე მეტ ხანს წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს პრაქტიკულ საქმიანობასა და მეცნიერულ მოღვაწეობას. ყველას გვახსოვს, როგორი მონდომებით, ზედაპირზე თუ მიწის ქვეშ დაუცხრომელი ენერგიით ეძიებდა მანგანუმის მადანს, რა სიყვარულით ადგენდა მის ხარისხსა და რაობას, როგორი გონიერებით მოახსენებდა ხოლმე კვლევის შედეგებს საერთაშორისო თათბირებს, კონგრესებსა თუ სიმპოზიუმებს. ბატონი ბიჭიკო ხშირად იყო მიწვეული უკრაინასა თუ შუა აზიაში იქაური საბადოების შესაფასებლად.

სამთოელთა და გეოლოგთა მრავალრიცხოვან არმიას მუდამ ემახსოვრება ბიჭიკო თაბაგარი, გულისხმიერი მეგობარი და ნიჭიერი კოლეგა, რომელიც კაცურ-კაცობის, მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობისა და ადამიანური სიკეთის მაგალითი იყო.

საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი".

ე. შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან თოფურია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მატერიალური რესურსების ყოფილი მინისტრი

ლევან სერგოს ძე თოფურია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს რედაქციის თანამშრომელს მარგო ლეკიშვილს დედის

ოლია ნესტორის ასულ ჯღარკავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის განცხადება

1993 წლის 6 დეკემბრიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ მოქმედებაში შეყვანილია ძვირფასი ლითონების შესასყიდი ახალი ფასები სინჯების მიხედვით:

1 გრ. ოქრო - 152187 კუპონიდან 437822 კუპონამდე

1 გრ. ვერცხლი - 1869 კუპონიდან 4786 კუპონამდე

1 გრ. პლატინა 950 სინჯის - 442080 კუპონი

მოსახლეობისაგან ძვირფასი ლითონების შესყიდვას აწარმოებს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის შემსყიდველი პუნქტი, რომლის მისამართია: დიღმის მასივი, III კვ. მე-6 (ბ) კორპუსი. (მეტრო დიდუბე, დიღმის ხიდთან).

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, რომელთაც სურთ ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა, ნარჩენებისა და ჯართის ჩაბარება, მიმართონ ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 11.

ამავე დროს მოსახლეობას ვაცნობებთ, რომ შეწყვეტილია ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის ძვირფასი ლითონის შემსყიდველი შემდეგი პუნქტების ფუნქციონირება - 1993 წლის 15 ნოემბრიდან ლომბარდის შენობაში არსებულისა, ხოლო 1 დეკემბრიდან ქ. თელავში არსებულისაც.

გზა დაგელოცოთ

რამდენიმე დღის უკან მუშაობას შეუდგა კიდევ ერთი საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ქართველმა ბიზნესმენმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა დავით ზოდელავამ დააარსა.

საქველმოქმედო ფონდი იურიდიულად დიდი ბრიტანეთის სამეფოს იურისპრუდენციაშია რეგისტრირებული და თავის ქველმოქმედებას საქართველოში ატარებს.

1993 წლის საპრემიო ფონდი შეადგენს 30. 000 აშშ დოლარს. პრემია სტიმულირების სახით გადაეცემა საქართველოსთვის ღირსეულ პიროვნებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

თქვენ შეგიძლიათ წლის ბოლომდე მოგვაწოდოთ შესაფერისი კანდიდატურები. შეჯამების ვადა იქნება წლის ბოლო.

საახალწლოდ გამოცხადდება პრემიის საკონკურსო წესით არჩეული სამი მფლობელის ვინაობა, რომელთაგან თითოეული მიიღებს 5. 000 აშშ დოლარს. ხოლო დარჩენილი თანხა ქველმოქმედების სახით განაწილდება.

ფონდი ძირითად საქმიანობას წარმართავს ნებისმიერ სფეროში, უპირველესად კი მისი მიზანი იქნება სპონსორობა გაუწიოს ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებულ პირებს, მათი მონაცემების დახვეწისა და სწავლა-განათლების მიღების მიზნით.

კანდიდატებს სერიოზული მოთხოვნები წაეყენებათ, მაგრამ თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ აღმოჩენილი ტალანტი იჩაგრება, გთხოვთ, მიმართოთ ფონდს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 62. ტელ: 29-47-59.

მთავარი რედაქტორი ზურაб [illegible]

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434